# პიონერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

10

1930



პიონერების ნამუშევართა გამოფენა

სახელგამი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# იყავ მზად!

### მოსკოვის პიონერების წერილი საქართველოს პიონერებს.

ჩვენ, ქ. მოსკოვის მე-9 მე-57 და მე-63 რაზმთა პიონერები, გიგზავნით მხურვალე სალამს.

ჩვენ გვინდა, რომ ეს წერილი იყოს დასაწყისი მეგობრული კავშირისა საქართველოს პიონერებსა და მოსკოვის პიონერებს შორის, რადგან პიონერთა კანონი ხმამაღლა ლაპარაკობს ყველა ერის და მთელი მსოფლიოს ბავშთა მეგობრობაზე

ამ წერილში გვინდა გიამბოთ ჩვენი მუშაობის შესახებ, რადგან მუშაობის სისტემა ჩვენში და თქვენთან, საქართველოში, სხვადასხვაა; თქვენც თქვენის მხრივ აგრეთვე გაგვაცნობთ მუშაობის ორგანიზაციას, და ამგვარად შევძლებთ გავაცნოთ ურთიერთს ცდები ჩვენი ორგანიზაციებისა (რესპუბლიკების).

პირველად მოგითხრობთ ჩვენი რაზმის ორგანიზაციული წყობის შესახებ:

ს.ს.პ.კ.ც.ს. პროფორგანიზაციასთან გაერთიანებული არიან ამავე ორგანიზაციის თანამშრომელთა ბავშები 220 კაცის რაოდენობით, ე.წ „პიონერბაზა ს.ს.პ.კ.ც.ს.-თან“, რომელიც იყოფა სამ დამოუკიდებელ რაზმად.

საერთო საკითხები ირჩევა ბაზის საერთო კრებაზე, რომელიც თვეში ერთხელ ინიშნება.

ცალკეული რაზმების საერთო კრება არჩევს თავის შინაგან საკითხებს.

ბაზასთან არსებობს ე. წ. „შტაბი“, ანუ ბაზის საბჭო, რომელიც ბაზის დადგენილებებს ანხორციელებს და ხელმძღვანელობს მუშაობას; ასეთივე დანიშნულება აქვთ ცალკეულ რაზმთა საბჭოებს. შტაბი შედგება რაზმის ხელმძღვანელთა, მათ თანაშემწეთა და რაზმისგან ამორჩეულთაგან; რაზმის საბჭო შედგება რგოლების ხელმძღვანელთა, რაზმის კომისიის თავმჯდომარისა და საერთო კრებაზე არჩეული რაზმის მდივნისაგან.

რაზმი იყოფა რგოლებად, რომელთა შემადგენლობა დაახლოვებით 12-14 კაცით განისაზღვრება. რგოლები რაზმის უმდაბლესი უჯრედებია.

რგოლების საშუალებით გვაქვს შესაძლებლობ პიონერებთან ჩავატაროთ ყოველგვარი მუშაობა, მაგალი თად: აღმზრდელობითი, პოლიტიკური, ტექნიკურ ჩვევათ და ფიზიკური. ჩვენ გვყავს შემდეგი კომისიები: სამნ კომისია, რედკოლეგია და საკლუბო კომისია.

ჩვენი რაზმები, როგორც ყველა რაზმი მოსკოვის მუშაობენ ახალი სისტემით, რომელიც სამუშაო გეგმ შედგენაში მოწინავე პიონერთა აქტიურ მონაწილეობა ემყარება, ე.ი. ხდება შერჩევა მუშაობის, რაც შემდეგ სახით ტარდება: შტაბი ადგენს ბაზის, რგოლის მუშაობ საერთო სახეს, და რაზმები თავიანთთვის იმუშავებე დაწვრილებით გეგმებს, და ამის მიხედვით ადგენს შტაბ ბაზის ზუსტ გეგმას.

დიდი ადგილი უჭირავს ჩვენ მუშაობაში კამპანიებ მაგალითად: კამპანია სესხის აგიტაცია-გავრცელებისა თვის, სოცშეჯიბრება, მაკულატურის შეგროვება დ ბევრი სხვა, რაც საბჭოთა ხელისუფლებისთვის სასარგ ბლოა. ამგვარად ვეხმარებით უფროს ამხანაგებს სოცია ლისტური მშენებლობისათვის წარმოებულ მუშაობაში.

ამხანაგებო, ქართველო პიონერებო, ჩვენ დარწმუნე ბული ვართ, რომ, მიიღებთ თუ არა ჩვენს წერილს პასუხს არ დააგვიანებთ და გაგვაცნობთ თქვენს მუშაო ბას და ცხოვრებას; ეს დაგვეხმარება შემდგომს მუშაო ბაში, რადგან საკითხებზე და მუშაობაზე მხოლოდ ერთ სულოვანი და შეთანხმებული მსჯელობით შევძლებთ ადვი ლად გადავლახოთ ის სიძნელენი, რომელნიც შეიძლებ გადაგვეღობოს.

პიონერული სალამით
პიონერბაზა ს.ს.პ.კ.ც.ს.-თან.

მოგვწერეთ შემდეგი მისამართით:
**მოსკოვი**, მე-11 საფოსტო განყოფილება, სოლიან კის ქ., № 12. შრომის სასახლე, ოთახი № 304 კომკავშირის უჯრედს ს.პ.კ.ც.ს.-თან არსებული პიო ნერაბაზისთვის გადასაცემად.

---

## შ ი ნ ა ა რ ს ი:


| | გვ. | | გვ. |
|---|---|---|---|
| 1. ბავშთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები, — **კოლიუხის** | 1. | 9. როგორ მუშაობს ქუთაისის ოლქის პიონერთა ორგანიზაცია — **რადიოსი** | 14. |
| 2. ორი თვე ბაღდადში, — კ. **მელაძის** | 2. | 10. ზესტაფონის რაიბიურო ნაყოფიერად მუშაობს | 15. |
| 3. მეჯინიბე, — **ე. მ.** | 4. | 11. ჯულას საყვირი, — ლექსი — **ალ. გომიაშვილის** | 15. |
| 4. საბავშო პიონერული ოპერა „ბრძოლა“ ქუთაისში, — **ვ. ჩაჩიბაისი** | 6. | 12. იქ, სადაც ტყავს ამუშავებენ (დასასრული) — **ს. მთვარაძის** | 16. |
| 5. ელექტროგუთანი, — **დამსწრის** | 7. | 13. იყავ მზად! — გარეკანის მე-2 გვერდზე | |
| 6. „კრასინის“ გმირობა, — **შ. თ — ლის** | 9. | 14. თამბაქოს მავნებლობა, — **ნ. იტრიევის** — გარეკანის მე-3 გვერდზე | |
| 7. პიონერები ყანაში, — ლექსი — **ია ჯიბლაძის** | 11. | 15. „ბავშთა მეგობრის“ სამდღიური და წერილი აფხაზეთის, — გარეკანის მე-4 გვერდზე | |
| 8. დამკვრელი დაზგა, — **შალის** | 12. | | |

329.15(03)
პ-47.

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

31 მაისი
№ 10
წელიწადი მეხუთე
1930

# პიონერი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიურო-ების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშვებისათვის

## ბავშთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები

უკანასკნელი წლის განმავლობაში საქართველოში პიონერები და ბავშები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, კერძოდ კი საგაზაფხულო თესვის კამპანიაში, კოლმეურნეობათა მშენებლობაში, სამრეწველო საფინანსო გეგმების შესასრულებელ ღონისძიებათა გატარებაში, უტილნედლეულის შეგროვებაში და სხვ.

ყველა ამ საქმეში გამოიჩინეს პიონერებმა და მოწაფეებმა უდიდესი ინიციატივა, ენტუზიაზმი, რაც ხელს უწყობს ხუთწლიანი გეგმის ჩქარი ტემპით შესრულებას.

თითქმის ყველა ოლქსა და მაზრაში არსებობს ბავშთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები. ახალციხეში არსებობს ფრინველის მოსაშენებელი 15 ამხანაგობა; ახალსენაკის მაზრაში ამ გაზაფხულზე პიონერების მიერ დამუშავებულია 55 ბაღჩა-ბოსტანი. ასე იზრდება და ვითარდება პიონერთა შემოქმედებითი უნარი.

მიუხედავად ამისა, უმრავლეს შემთხვევაში ამ ბავშთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს და პიონერთა მებოსტნეობას არა აქვთ გარკვეული სამოქმედო მიმართულება, რაც თავის უარყოფით გავლენას ახდენს ამ მუშაობის ნაყოფიერებაზე. ამიტომ საქ. ა. ლ. კ კ. ც კ-ის ბ. კ. ო. ც. ბიუროს ინიციატივით დამუშავდა დებულება ბავშთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა საუწყებათაშორისო თათბირის მიერ. ეს დებულება წარმოადგენს სწორედ იმ საფუძველს, რომლის მიხედვით უნდა შეიქმნას კოლექტივები როგორც კოლექტივიზაციაზე გადასულ, ისე მის გარეშე დარჩენილ სოფლებში.

ამ დებულებიდან ვხედავთ, რომ ბავშთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები კოლმეურნეობათა პირობებში ბავშთა შრომის ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა, რომელიც მუშაობს კოლმეურნეობის მიერ მიცემულ გეგმაშეწონილ მითითებათა მიხედვით და რომელიც თავის პრაქტიკულ მუშაობას აფართოებს ბავშთა თვითმოქმედებისა და შემოქმედებითი უნარიანობის საფუძველზე. რამაც უნდა უზრუნველჰყოს საზოგადოებრივად სასარგებლო საწარმოო შრომა პოლიტექნიკური აღზრდის ელემენტებთან შეფარდებით.

კოლექტივიზაციაზე გადასული სოფლის პირობებში ბავშთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები თავისი მუშაობის მაგალითებით ხელს უწყობენ სოფლის გადაყვანას კოლმეურნეობის ლიანდაგზე, ისინი ამზადებენ მომავლისათვის კოლმეურნე ორგანიზატორებს და თავის მუშაობას აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამოცანებისა და ხელშეკრულებათა თანახმად.

ამ პრინციპების მიხედვით ჩამოყალიბებული ბავშთა შრომა ბავშთა სასოფლო-სამეურნეო მოძრაობის მასიურ ხასიათს მიიღებს, რაც ხელს შეუწყობს ხუთწლიანი გეგმის ჩქარა განხორციელებას, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას, მით უმეტეს, რომ ბავშთა სასოფლო-სამეურნეო არტელებში შესვლა არ იწვევს არავითარ ხარჯს. ვინაიდან, ამის შესახებ არსებული დებულების თანახმად, არც შესასვლელი და არც საპაიო გადასახადი არ არის საჭირო.

ამ კოლექტივების ნივთიერ ბაზას ქმნის კოლმეურნეობათა გამგეობა, კოოპერაცია და სკოლა თესლეულის გამოყოფის სახით, ჯიშიანი ფრინველებით, თესვის ჩატარებით, მასალებით, ხელსაწყოებითა და სხვა.

ამასთანავე ერთად ზოგ ადგილას არის სურვილი სპეციალურ „ბავშთა კოლმეურნეობათა“ შექმნისა, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულებისა, საწევრო გადასახადითა და სხვ. ეს მოზრდილების წაბაძვა მავნე თამაშობიაა, რომელიც უპირისპირდება კოლმეურნეობას. ამ მიდრეკილებას მედგრად უნდა ვებრძოლოთ და გამოვამჟღავნოთ მისი მავნებლობა.

ბავშთა კოლექტივების ის ქსელი, რომელიც გაიშალა, დღეს არასაკმაოდ უნდა ჩაითვალოს და სოციალისტურ აღმშენებლობასთან შეუფერებლად, ამიტომ ყოველი პიონერკოლექტივი, განსაკუთრებით კი კოლმეურნეობაში, თავის დამკვრელ ამოცანად უნდა ისახავდეს ჩამოაყალიბოს ეს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები, ამ მუშაობაში ჩააბას სოფლის ბავშთა სრული 100%. უმთავრესად კი საჭიროა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებმა გააღრმაონ სანიმუშო მუშაობა სასოფლო მეურნეობის დარგში—აგრონომების, ბუნებისმეტყველთა და სოფლის სხვა კულტურული ძალების მითითებათა და ხელმძღვანელობის საშუალებით.

ბავშთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებმა ხელი უნდა მოჰკიდონ სასოფლო მეურნეობის ისეთ დარგებს, რომელიც მინიმალურ ხარჯებს თხოულობს. ასეთია, მაგალითად: მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, მეფრინველეობა და მეფუტკრეობა. კოლექტივების გაძლიერებასთან დაკავშირებით საჭირო იქნება და აუცილებელიცაა სხვა სამუშაოებზეც გადასვლა.

თანახმად არსებული წესებისა, ბავშთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებმა მთელი შემოსავალი და თავისი შრომის ნაყოფიერება კოლექტიურად უნდა გამოიყენონ, დაახლოვებით შემდეგნაირად უნდა დახარჯონ: ცხელი საუზმეებისა და ესკურსიების მოსაწყობად, ბიბლიოთეკებისა და რადიომოწყობილობის შესაძენად და სხვ.

ყველა პიონერბიუროსა და კოლექტივების ამოცანაა უზრუნველყონ ხელმძღვანელობით ბავშთა სასოფლო-სამეურნეო მოძრაობანი, ამ მუშაობაში სახალხო განათლების განყოფილებათა, კოლმეურნეობათა სექციის და კოოპერაციის ცალკეული დარგების დახმარებით. ამ მიზნით უნდა იქნეს შემოღებული საწარმოო თათბირები როგორც რაიონებში, ისე თემებში. კოოპერატიული ორგანოები თავის მხრივ ვალდებული არიან უზრუნველყონ სათანადო კრედიტებით სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები. ამ მიზნით მეფრინველეობის კავშირმა მიმდინარე წელს 7000 მან. გადასდო.

სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბავშთა შრომის ორგანიზაცია შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებათა საფუძველზე.

**ბავშთა შრომის სწორედ ჩამოყალიბებით სოფლად უზრუნველვყოთ კოლმეურნეობათა მინდვრების ახალ ასეულ და ათასეულ დამკვრელთა ჩამოყალიბება.**

**ბავშთა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებში გავაჩაღოთ დამკვრელობა.**

**გავაჩაღოთ ბავშთა შორის სოციალისტური შეჯიბრება.**

**კოლიუხი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი თვე ბალდადში

(ბრიგადელის ბლოკნოტიდან)

17 თებერვლის დილაა. მატარებელმა ქშენით შეირბინა ქუთაისის სადგურში. ვაგონები სავსეა ხალხით. მათ საოაპარაკო თემას კოლექტივები შეადგენს. ვაგონის ერთ-ერთ კუპეში მოთავსებული ვართ სამი კაცი და ერთმანეთს ვესაუბრებით.

— სად უნდა გაგვგზავნონ?!.. ნეტავ, რომელ სოფელში მოვხვდებით.?!

ჩვენ მივდიოდით, ბრიგადა, საქართველოს მბეჭდავთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის სახელით, ქუთაისის საოლქო პროფსაბჭოს განკარგულებაში.

მატარებელი გაჩერდა. ხალხი აიძრა, და გადმოდიან ვაგონებიდან. ცუდი დილაა. წვიმს. ჩვენც სადგურში ვართ. ზურგზე მოკიდებული გვაქვს ჩვენი ბარგი. მძიმეა. მაგრამ სიმძიმეს სიხარული გვიმსუბუქებს. ბარგი სადგურში მივაბარეთ. გავუდექით გზას პროფსაბჭოსაკენ.

**საოლქო პროფსაბჭოში.**

რვა სათია, და ჩვენ საოლქო პროფსაბჭოში ვართ. შიგ მხოლოდ ერთი თავმოძულებული მოანგარიშის ჩოთქის რახა-რუხი აყრუებს იქაურობას.

კედლის საათმა ცხრა დარეკა. თანამშრომლები ნელი ნაბიჯით მოდიან, არ ეჩქარებათ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე არსად ჩანს. დრო მიდის. ათი საათი გახდა. იგი არსად ჩანს. თერთმეტზე ეღირსა მოსვლა. გავაცანით ჩვენი ჩამოსვლის მიზანი.

— ჩვენ, ამხანაგო,—ეუბნება ასოთამწყობი ჯორბენაძე,-მბეჭდავთა ბრიგადა ვართ ტფილისიდან, სამი კაცის შემადგენლობით გადმოგზავნილი თქვენს განკარგულებაში. ჩვენ რომელიმე სოფელში ყოველ ორ დღეში უნდა გამოვუშვათ ნაბეჭდი გაზეთი „მბეჭდავი კოლექტივიზაციის ფრონტზე“. ამისათვის საჭიროა „ამერიკანკა“, ასოები, ე. ი. სტამბის მთელი მოწყობილობა. ხარჯებს ტფილისის პროფსაბჭო იღებს. უნდა წავიდეთ იმ ადგილას, სადაც მეტი მუშაობაა საჭირო.

— დიდად სასიხარულოა, ამხანაგებო, თქვენი ჩამოსვლა,—ლაპარაკობს დინჯად ფანცულაია (პროფსაბჭოს თავმჯდომარე).—ყველაფერი მზად არის. ჩვენ თქვენ გელოდებოდით. რაც შეეხება გასაგზავნი ადგილის ამორჩევას, ეგ საოლქო შტაბის საქმეა, მას მიმართეთ.

რაც თქვენ გესაჭიროებათ, ყველაფერი მზად იქნება რამდენიმე საათში. თუ არ დაგეზარებათ, შეიარეთ სტამბაში.

— ძალიან კარგი. მაშ მშვიდობით, ამხანაგო.

— გამარჯვებით, გამარჯვებით,—გვიპასუხა მან და გავსწიეთ საოლქო შტაბისაკენ.

**საოლქო შტაბი.**

საოლქო შტაბში გამალებული მოძრაობაა. ყოველ წუთს რეკს ტელეფონი. ადგილებიდან იძლევიან ტელეფონოგრამებს, იტყობინებიან სოფლებიდან ამხანაგები კოლექტივიზაციის მსვლელობას. ჩვენ იქ არავის არ ვიცნობთ და მივაშურეთ იქვე ერთი სამხედრო პირისაკენ, რომელიც პირდაპირ მაგიდასთან იჯდა.

— უკაცრავად, ამხანაგო, ვინ არის აქ საოლქო შტაბის უფროსი?!

— საოლქოს შტაბის უფროსი ახლა აქ არ არის, მისი მოადგილე კი მე ვარ.

— სულერთია ჩვენთვის.

— რა ამბავია, ამხანაგო?!

— იცით რა, ჩვენ ბრიგადა ვართ ტფილისიდან. სოფელში გაზეთი უნდა გამოვუშვათ. მიგვაქვს სტამბის მთელი მოწყობილობა. საჭიროა გვითხრათ, სად უნდა წავიდეთ.

— ბრიგადა?!!—გაუბწყინდა მას სახე და სიხარულით შემოგვხედა.—სწორედ ძალიან დროს ხართ მოსული. თქვენ იცით ალბათ, რომ ქუთაისის ოლქში მთელი რიგი რაიონები მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებადაა გამოცხადებული. თქვენ, ამხანაგებო, მუშაობა მოგიხდებათ ბალდადის რაიონში, შემდეგ კი ვანში. ბალდადი მთლიან კოლექტივიზაციის რაიონადაა გამოცხადებული. საჭიროა მთელი ჩვენი ძალების გადასროლა სოფელში. მაშ ასე, თქვენ ბალდადში წახვალთ.

— კარგი, ძალიან კარგი, წავალთ, მხოლოდ ჩვენთან მჭიდრო კავშირი დაიკავეთ. გაზეთის ნომრებს სისტემატიურად გამოგიგზავნით და მიგვითითეთ, შიგ თუ რაიმე შეცდომები ნახოთ.

— ძალიან კარგი. მე ახლავე გადავცემ ტელეფონოგრამას ბალდადში და შევატყობინებ თქვენს იქ წასვლას.

— მაშ გამარჯვებით, ამხანაგო, წასვლამდე კიდევ გინახულებთ.

— გამარჯვებით. აბა თქვენ იცით, როგორ შეასრულებთ დაკისრებულ ამოცანას.

წვიმამ გადაიღო მზის ფერმკრთალმა სხივმა გადმოხედა ქუთაისს და ისევ მიიმალა. უკვე ოთხი საათია. ღამდება. ზამთრის დღეა, და სიბნელე ჩამოწვა.

— ახლა სტამბაში უკვე გვიანი იქნება,—ამბობს მბეჭდავი მიკირტიჩიანი.

— გვიან იქნება,—პასუხობს ასოთამწყობი ჯორბენაძე.

სტამბის მუშები არიან და იმათ სტამბის საქმე ჩემზე უკეთ იციან.

— კი, მაგრამ, ამხ. ჯორბენაძე, მაშ როდის უნდა მივიდეთ სტამბაში?

— ხვალ, ამხ. მელაძე, ხვალ. დილას ადრე მივიდეთ, გამოვაწყოთ ყველაფერი და საღამოს გავუდგეთ გზას ბალდადისაკენ. ახლა კი სჯობს მოვისვენოთ.

და ჩვენ გავწიეთ დასასვენებელი ადგილისაკენ.

**დილით სტამბაში.**

18 თებერვალია. დილის 8 საათზე მივდივართ სტამბაში. მანქანები გუგუნებს, და მუშებიც გამალებით მუშაობენ.

შევედით სტამბაში. სტამბის გამგე ჩვენზე ადრე მისულიყო. მან ჩვენს შესახებ წინასწარ ყველაფერი იცოდა.

— თქვენ, ამხანაგებო, მგონი ბრიგადელები უნდა იყოთ?—გვეკითხება იგი.

— დიახ,—ვუპასუხეთ.

— საოლქო პროფსაბჭოდან გადმომცეს, რომ თქვენ საბეჭდი მანქანა და შრიფტი გინდათ. ჩვენ დაგეხმარებით და ამოვარჩიოთ, რაც გჭირდებათ.

— კი, მაგრამ, ამხ. გამგე, ეგ „ამერიკანკა“ რით უნდა წავიღოთ ბალდადში?!

— რა თქმა უნდა, ურმით. სხვანაირად არ შეიძლება.

— რამდენი კილომეტრია ბალდადამდე?!

— ოცდაშვიდი.

— ამოდენა მანძილზე რომ დაიმტვრეს მანქანა, მაშინ...

— კარგად უნდა გავაკეთოთ და არ დაიმტვრევა.

— მაშ კარგი. შევუდგეთ საქმეს.

ორ საათში ჩვენ უკვე ყველაფერი მზად გვქონდა. სტამბის გამგეს ურემიც ეშოვნა. ვიშოვნეთ მუშებიც და შევუდექით „ამერიკანკას“ და ასოების კასების მოთავსებას ურემზე.



[ამხ. ფ. მახარაძის სახელობის გუდაუთის ქართული სკოლის პიონერები

— ბიჭო! მაგრად შეკარი, არ გადმოვარდეს, თორემ...—ხშირად გადასძახის სტამბის ერთი მუშა მეორეს.

„ამერიკანკა“ მაგრად დავაკარით ჯაჭვებით ურემზე, და ერთი ჩვენი ამხანაგის თანხლებით ურემმა სრულ 11 საათზე გასწია ბალდადისაკენ.

**ავტოგარაჟეში**

— ამხანაგო სადგურის გამგევ, ავტო ბალდადში რა დროს გადის?

— სრულ სამ საათზე.

— მაშ საათში წავა,—გადვულაპარაკეთ მე და ჯორბენაძემ ერთმანეთს.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ რკინის გზის სადგურისაკენ გავსწიეთ და დავიხსენით გუშინდელი მიბარებული ბარგი.

სამს გადაცილდა. ოთხის ნახევარია. აგუგუნდა სადგურში დიდი საბარგო ავტომობილი. ხალხმა მისკენ მიაშურა.

— ამხანაგო, სად მიდის ეგ ავტო?—შევეკითხე ჩემს გვერდით მდგომ ერთ მგზავრს.

— ბალდადში,—მიპასუხა მან, და ჩვენც მივაშურეთ მისკენ. ჩვენ მივქრით ბალდადისაკენ. ავტომობილი ტიკსავით გვანჯღრევს და ხან ერთ გვერდზე გადავწვებით და ხან მეორეზე. საერთო სიცილია. ჩვენს წინ „რიონჰესის“ სამუშაოები იშლება. მეტად ლამაზად ჩანდა გორებზე რიონჰესის მუშების პატარა სახლები. ავტომ დათოკა 12 კილომეტრი. ჩვენ მივუახლოვდით მდინარე ყვირილას. იგი მოაგორებს თავის შავ ტალღებს და ჭიათურის მარგანეცის სიშავეს ნანას უმღერის.

მდინარე ყვირილაზე ბორანია.

— რა იყო, ამხანაგო ჯორბენაძე?

— რა და ამ ბარგს რა მიათრევს გაღმა ავტომობილამდე?

— მოიცა, ამხანაგო! ჩვენ ყველაფერი უნდა ავიტანოთ.

მოვკიდეთ ხელი ბარგს და მივდივართ. ძალზე მძიმეა, არავინ გვეხმარება. ტალახში მთლად ამოსვრილი ვართ. როგორც იქნა, დიდი გაჭირვებით მივაღწიეთ ბალდადიდან მოსულ ავტოპობილამდე. ხალხი ერთმანეთს ასკდება. ჩემმა ამხანაგმაც წაიწია წინ.

— ოჩერედ, ამხანაგო!—მოაძახა ვიღაცამ.

— ოჩერედი, რის ოჩერედი!—დაიხია უკან. სიცილს ვერ ვიკავებ. როგორც იქნა, მოვთავსდით, და ავტომობილმა გულშემზარავი [ყვირილითა და რწევით მიაშურა ბალდადს.

**გზაში**

ჩვენს ავტოში ბალდადელია ყველა. ისინი ბალდადის კოლექტივების შესახებ ლაპარაკობდენ. ჩემს გვერდით ერთი მოხუცი იჯდა და ცნობისმოყვარეობით დავუწყე შეკითხვა.

— მოხუცო, როგორაა კოლექტივების საქმე ბალდადში?

— კარგად, ძალიან კარგად.

მოხუცის ამ სიტყვებმა ახალი ბრძოლის ცეცხლი აანთო გულში.

— გიშლის თუ არა ვინმე ხელს?

— განა შეიძლება ასეთი დიდი საქმის დროს ხელის შემშლელები არ იყოს?

— კულაკები არიან ბალდადში?

— კულაკები?! როგორ არ არიან. ცდილობენ დაგვიშალონ კოლექტივები, მაგრამ ამ მიზანს ისინი ვერ მიაღწევენ.

— როგორ მოგწონს, მოხუცო, კოლექტივები?

— როგორ? მომწონს და მეტი არა? სამი ბიჭი მყავს, სამივე კომსომოლებია. მთელი ოჯახით კოლექტივის წევრი ვარ, ვარ და ვიქნები.

ამ ლაპარაკში უკვე ბალდადს მივაღწიეთ. საკმაო სიბნელე იყო. ქუჩებში ტალახი მორევივით ქანაობდა, შიგ გასვლას კარგი ბიჭობა უნდოდა. ხალხი [ავტოდან დაიძრა. ჩვენც დავემშვიდობეთ მოხუცს და გადმოვედით.

**ალმასკომში**

ბარგი იქვე მივაბარეთ და კითხვა-კითხვით გავუდექით ალმასკომის გზას. იგი ბაზარზე კარგა მოშორებითაა. იქ 18 თებერვალს თათბირი იყო ადგილებზე მიმაგრებული ამხანაგების, რომლებიც მოკლე ინფორმაციას იძლეოდენ სოფლად კოლექტივების მსვლელობის შესახებ.

მივედით ალმასკომში. წინ დარაჯი შემოგვეფეთა.

— ამხანაგო, აქ ალმასკომის თავმჯდომარე ვინ არის, ან თუ არის აქ ახლა?!

— ალმასკომის თავმჯდომარე ჩიქვანაიაა. აქ არის ახლა.

— სახოვეთ ერთ წუთს.

— თათბირზეა, არ შეიძლება.

— უთხარით, რომ ბრიგადაა ჩამოსული და ისინი გკითხულობენ-თქო.

ის შეტრიალდა და იმავე წუთს ჩვენს წინ აღიმართა მაღალი, სერიოზული სახის ახალგაზრდა კაცი.

— რომელია აქ ბრიგადელები?

— ჩვენ ვართ, ამხანაგო. თქვენ რა გვარი ხართ?

— ჩიქვანაია. ალმასკომის თავმჯდომარე.

— კეთილი. ჩვენ ბრიგადა ვართ ტფილისიდან. აქ ნაბეჭდი გაზეთი უნდა გამოვუშვათ, სტამბას სადაცაა ურმით მოიტანენ. ბინაა საჭირო.

— ბინა არაფერია,—გაიღიმა,—ჯერ ეს მითხარით, სანამდე რჩებით.

— ორი კვირა, შემდეგ კი ვანში წავალთ.

— ეგ ჩვენზე იყოს. დიდად სასიხარულოა თქვენი ჩამოსვლა. ბინა საავადმყოფოში გექნებათ. ორ ოთახს მოგცემთ.

— ამხ. ჩიქვანაია, იქ მგონი თათბირია. გააცანით ამხანაგებს, რომ გაზეთისთვის მასალები მოგვაწოდონ. პირველი ნომერი 20 თებერვალს გამოვა.

— ძალიან კარგი.

და იგი გახარებული გაბრუნდა უკან, ჩვენ კი ჩვენი ბარგით გავწიეთ ახალი ბინისაკენ მოსასვენებლად.

ურემი ჯერ არ მოსულა. ძალზე ბნელა, თან სიცივეა. ახალ ბინაში ავანთეთ ლამპა. ამხ. ჯორბენაძე ბალდადურ ტალახს აცილებს პალტოს. გარეთ კი ქარი ქრის და თოვლის ფიფქები ირევა ცაში.

**კარლო მელაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეჯინიბე

შებინდებისას ეზოში ჟანდარმი შემოვიდა. ნელი ნაბიჯით გაემართა ის კანცელარიისაკენ; მიუახლოვდა თუ არა კარს, მხრიდან თოფი გადმოიღო, მოიმარჯვა, კარი დააკაკუნა და შიგ შევიდა. ჯერ რაღაც წასჩურჩულა მმართველს, შემდეგ კი ორივენი გაემართენ საჯინიბისკენ, სადაც დანიელ კერესტენი უვლიდა ცხენებს.

— აქ მოდი, კერესტენ, — შესძახა მმართველმა.

გაისმა ფეხის ხმა, და გამოჩნდა მეჯინიბე. ჟანდარმის დანახვაზე მოხუცს შეაჟრჟოლა და შეშინებული თვალები მოელვარე ლულას მიაპყრო.

— თქვენ ჩემთან წამოხვალთ, — მიმართა მას ჟანდარმმა.

მოხუცი მოჯამაგირე გაშეშდა, მიაჩერდა მოსაუბრეს.

— მე?

— დიახ, თქვენ. ჩქარა!

მოხუცმა მეჯინიბემ დანიელ კერესტენმა გამოცდილებით იცოდა, რომ ჟანდარმთან ლაპარაკი ავაო იყო იქვე შეტრიალდა, აიღო თავისი ძველი ქურქი, ჩექმის ყელში ჩაირჭო ყალიონი და მოემზადა წასასვლელად.

ჟანდარმმა ხელი გაუწოდა მმართველს გამოსამშვიდობებლად.

— პირუტყვს რა ვუყოთ? — იკითხა დანიელმა ნელი ხმით. — საჭმელი კი არ დამიყრია ჯერ, — დაატანა მან.

— არა უშავს რა, მოვახერხებთ რასმე, — მიუგო მმართველმა.

მოხუცის მიმართ რაიმე განსაკუთრებული ზომების მიღება საჭირო არ იყო. ქოფაკივით მონა-მორჩილი მიჰყვებოდა ის ჟანდარმს. მიდიოდენ ჩუმად, უსიტყვოდ. მოხუცმა კარგად იცოდა, რომ მას ჟანდარმი არ დაუწყებდა საუბარს. ჟანდარმი სრულიად ახალგაზრდა კაცი იყო და უნაკლოდ ასრულებდა წესებს. ქოხების წინ მიწაზე მსხდომმა გლეხებმა შეშინებული თვალები გააყოლეს მიმავალთ. ამ გლეხებმაც კარგად იცოდენ, რომ ყოველგვარი შეკითხვა ზედმეტი იყო. მხოლოდ მედუქნემ გამოიჩინა გამბედაობა, დაარღვია არსებული წესები და მეგობრულად მიესალმა ჟანდარმს, რომელმაც ხელის გაქნევით უპასუხა.

სასიარულო ბევრი არ იყო — ჟანდარმთა სადარაჯო იქვე იყო.

უკვე გვიან იყო, როცა დანიშნულ ადგილას მივიდენ. ჟანდარმთა ვახმისტრი ვახშმად იჯდა და ვიდრე მორჩებოდა, მოსულები კართან ალოდინა. როცა ვახშამი გაათავა, გარეთ გამოვიდა, მიუახლოვდა მოხუცს, ჭაღარა წვერ-ულვაშზე მიაფურთხა და თან უბრძანა იქვე მდგომ ჟანდარმს:

— ჩააგდეთ!

ახალგაზრდა ჟანდარმმა კერესტენი საკანში შეაგდო და საჩქაროდ გაშორდა იქაურობას.

II

მეორე დილით საათის რვაზე დანიელი დაკითხვაზე გამოიყვანეს. მოხუცს წვერ-ულვაში სავსე ჰქონდა თივით, თან ფეხიც სტკიოდა, საშინლად კოჭლობდა.

— სახელი? — შეეკითხა ვახმისტრი.

— დანიელ კერესტენი.

— 56 წლისა, მეჯინიბე ლინშტეინის მამულში, ცოლიანი, უმიწაწყლო, არა?

— დიახ, უმიწაწყლო! — გაიმეორა მოხუცმა

— ბავშები გყავს?

— ექვსი მყავდა. სამი გარდაიცვალა, ორი მუშაობს მახლობლად მამულში, ერთი კი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

— სად და როგორ?

1916 წ. ტყვედ ჩაუვარდა რუსებს. უკანასკნელი წერილი გამოგზავნა 1918 წ. მას შემდეგ არა ვიცი რა მის შესახებ... გარდაიცვალა.

— ვინ გითხრა, რომ გარდაიცვალა.

— არავის არ უთქვამს, მაგრამ თუ კი პირმშო შვილი ცხრა წლის განმავლობაში თავისი მდგომარეობის შესახებ არაფერს მოსწერს მშობლებს, ცხადია, გარდაცვლილია, განა ჩვენები ცოტანი დაიხოცენ ციმბირში?

— როდის მიიღეთ თქვენ მისგან უკანასკნელი წერილი... ან რა ჰქვია თქვენს შვილს?..

— დავითი... 1918 წ. გამოგზავნა უკანასკნელი ლია ბარათი.

ჟანდარმთა ვახმისტრი ადგა, მიუახლოვდა დანიელს, მრისხანედ ჩახედა თვალებში და ერთი მაგარი სილაც კი აჭამა.

— გაიმეორე, როდის მიიღე მისგან უკანასკნელი წერილი?

მოხუცმა მორჩილებით თავი ძირს დახარა, დასერილი და დაკორძებული ხელი ლოყაზე მიიფარა და გაიმეორა:

— 1918 წელს.

— არ გაბედო ტყუილის თქმა! შენ მას შემდეგაც ბევრჯერ მიიღე წერილები.

დანიელი ვერ გამორკვეულიყო. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ კალთით მოიწმინდა ასისხლიანებული ცხვირ-პირი და ლუღლუღით დაატანა:

— 1918 წ. იყო უკანასკნელი წერილი. ამას თქვენ დაგიდასტურებსთ ყველა ჩემი ნაცნობი, ვინაიდან ყველა წერილი უწინარეს ყოვლისა კანტორაში მოდის.

ვახმისტრმა მრისხანედ გადახედა იქვე მდგომ დარაჯს, პაპიროსს მოუკიდა და ღია ფანჯარაში გააბოლა.

— ამრიგად, შენ წერილები არ მიგიღია? — მაშ არ იცი, თუ რა შვილი ბრძანდება შენი დავითი?

— არაფერი ვიცი.

— არ იცი, რომ ის ცოცხალია?

— არა!

— მაშ კარგი. ვნახოთ, გამოვარკვევთ.

ჟანდარმთა ვახმისტრი შეუდგა ოქმის შედგენას. მოხუცი თავს იმტვრევდა, მაგრამ ვერ გამორკვეულიყო, თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს.

— მოაწერე ხელი.

— წერა არ ვიცი.

— მაშ სამი ჯვარი მაინც დაუსვი, შე პირუტყვო, აი აქ.

III

საღამოს მოხუცი გაათავისუფლეს. მძიმე ფიქრებში გართული მიეშურებოდა ის შინისაკენ. ისე გაეტაცნა ოცნებას, რომ ველარ ამჩნევდა თავის ახლო მეზობლებსაც კი, რომლებიც გზაში შემოხვდენ და შეშინებული თვალებით ქურდულად შესცქეროდენ მის დალურჯებულ სახეს. ქალებმაც კი ვერ გაბედეს შეხმაურებოდენ. იმათ კარგად იცოდენ, რომ მოხუცი ახლა ჟანდარმთა სამარ-

თველოდან მოდიოდა და არჩიეს არ ჩარეულიყვენ მის პირად საქმეში.

ცოლი შინ დაუხვდა. ის იჯდა ღუმელთან და კარტოფილს ფცქვნიდა.

— გამოგიშვეს? — შეეკითხა დედაბერი.

— როგორც ხედავ... დავიქანცე, გუშინ საღამოს აქეთ არაფერი მიჭამია.

— რა უნდოდა?

— დავითის შესახებ დამკითხეს. მე ვუთხარი, — ომის შემდეგ არაფერს იწერება მეთქი. არ დაიჯერეს, ვახმისტრმა მითხრა სტყუიო. შენ არ ამბობ, თორემ ის შემდგომაც გწერდაო... უკაცრავად მეთქი, მე უკეთ ვიცი... 1918 წ. შემდეგ არცერთი სტრიქონიც არ მინახავს... თუ კი ის ცოცხალია, ეტყობა, დავავიწყდით მეთქი.

დედაბერმა ძირს დადგა კარტოფილით სავსე ქოთანი, ღუმელს შეუკეთა და დაიწყო:

— დღეს აქ იყო ახალგაზრდა ჟანდარმი, რაღაცას ეძებდა, ყველაფერი ყირაზე გადმოაბრუნა... გაჩხრიკა ოთახი, სამზარეულო და საკუჭნაოც კი... რათა ხარ ეგრე დასისხლიანებული?..

— ვახმისტრმა მცემა.

დანიელმა საჩქაროდ ისაუზმა და საჯინიბისკენ გასწია.

ლაქში... ალბათ გამომძიებელიც მცემს... ან რას ნიშნავს ყველაფერი ეს?..

— მე თვითონ ვიყავი იმ ციმბირში, — უეცრად წამოიწყო ჟანდაომმა. — იქიდან არ იწერებიან წერილებს, იქ ყველანი კომუნისტები არიან, წითლები...

— წითლები?

— ულმერთოები, ყაჩაღები!

— ყაჩაღები? ახლა კი გასაგებია, თუ რატომ არაფერს იწერება.

— გასაგებაა კი ძნელი არაა, მაგრამ იქნება მოგწერა რამე? — ღიმილით დაატანა ჟანდარმმა.

მოხუცმა ნაღვლიანად გაიქნია თავი.

— აი, თურმე რა გამოვიდა მისგან... მართალი უნდა გითხრა, რომ ისეთი ბეჯითი და მუყაითი ბავში იყო... აი თურმე რატომ აოაფერს იწერება..

ჟანდარმმა პაპიროსი მოუკიდა, გააბოლა და საიდუმლოდ წაიჩურჩულა:

— ამბობენ, იწერებოდაო, მხოლოდ თქვენ გეშინიათ გაამხილოთ, რომ არაფერში გაგრიონ...

— რაში?

— თქვენი შვილის საქმეში.

მათ წინ შეეფეთა ცხენოსანი ახალგაზრდა. ჟანდარმი მიესალმა, ცხენოსანმა თავაზიანი სალამი მისცა და მიაძახა:



პიონერების და მოსწავლეების დემონსტრაცია ბავშთა საერთაშორისო კვირეულის დღეს.

გავიდა თვეზე მეტი. ჟანდარმი ისევ გამოცხადდა.

— თქვენ ქალაქში უნდა წამომყვეთ ჟანდარმთან, — განაცხადა მან.

მოხუცმა ისევ აიღო თავისი ძველი, დაკონკილი ქურქი, გაიხადა ჩექმები, ყელებით ერთიმეორეს მიაკრა და მხარზე გადაიგდო.

— ასე უფრო ადვილი სასიარულო იქნება, — უთხრა მან ჟანდარმს.

შემდეგ ცოტაოდენი პური და შეჭამადი გაახვია, ცოლს უთხრა ქალაქში მივდივარო და ჟანდარმს გაჰყვა.

დედაბერი იდგა ზღურბლთან და შესცქეროდა მიმავალთ. მას ტუჩები აუტოკდა. ტიროდა უცრემლოდ.. ის ის იყო სამზარეულოსკენ უნდა შებრუნებულიყო, როცა მას მოაძახა ქმარმა:

— კარგად მოუარე პირუტყვს, აბა, შენ იცი!

ქალაქი ექვსიოდე კილომეტრზე იყო... გზა სწორი და კარგი. გაზაფხულის მშვენიერი დღე იყო, მზე ანათებდა არემარეს და ათასგვარი ფრინველის ჟრიამული იკლებდა გარემოს.

დანიელ ჩუმად მიჰყვებოდა ჟანდარმს და როცა მეზობელი გლეხები შემოხვდებოდენ, ქუდზე ხელს მოიკიდებდა. სულ იმის ფიქრში იყო, თუ რა მოელოდა ქა-

— სალამი გადაეცით დავითს. ელოდეს ჩემგან საჩუქრად ბაწარს.

ეს იყო მემამულის შვილი.

— რა საქმე აქვს ასეთი ჩემს შვილს?

ჟანდარმმა მაშხანა გაისწორა.

— ისა, რომ ის კომუნისტია. ის დაბრუნდა ხალხის ასაჯანყებლად... მაგრამ ჩვენ ის შევიპყარით. ჩემი კეთილი რჩევაა, მოხუცო: თუ გინდათ მშვიდად იცხოვროთ, სთქვით, რას გწერდათ...

მოხუცს თვალთ დაუბნელდა.

— მაშ აქ იყო? შესაძლოა ეს? სადღაა ახლა?

— საპატიმროშია — უპასუხა ჟანდარმმა.

მოხუცმა მძიმედ ამოისუნთქა და ხმა გაკმიდა. ცოტა ხნის შემდეგ ბუზღუნი დაიწყო:

— სამშობლოში დაბრუნდა და არც კი მოიკითხა მოხუცი მშობლები... დაივიწყა მშობელი დედა-მამა... მოდი და ამის შემდეგ დაგაპატიმრონ მის მაგივრად, გცემონ, დაგტანჯონ და საპატიმროში ჩაგსვან.. ბერიკაცი აქვდები პირუტყვის მოვლას, ბატონი მძართველი კი ყოველთვის უკმაყოფილოა... რა ესაქმება, რაში ეკითხება მოხუცი ცოლქმრის შრომა და ჯაფა? ე. მ.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბავშო პიონერული ოპერა „ბრძოლა“ ქუთაისში

2 მარტს ქუთაისის სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი იყო საბავშო პიონერული ოპერა; დადგმაში 150 პიონერი და პიონერკომკავშირელი იღებდა მონაწილეობას, და მათ მთლიანად გაამართლეს თავისი მებრძოლი ლოზუნგი: „მზად ვართ!“ ქუთაისის მუსიკალური ტექნიკუმის პიონერები მაგარ და საიმედო დასაყრდენ ძალას წარმოადგენენ, რომ მოზარდ მაყურებელთა დრამის გვერდით დაარსდეს მოზარდ მაყურებელთა ოპერაც. მხოლოდ საჭიროა ამ ცოცხალ მასალას ჰყავდეს იდეოლოგიური მზერით გამახვილებული ხელმძღვანელი.

ოპერის შინაარსი წარმოადგენს ზამთარ-ზაფხულის შებრძოლებას, რაც მაისის ბრწყინვალე გამარჯვებით თავდება. სცენაზე თემის ძალიან ფართედ გაშლა და მხატვრულად გამართლებული გაფორმება მეტად დიდ ინტერესს იწვევს მაყურებლებში. რაც შეეხება მუსიკას, ის სხვადასხვა ოპერის მუსიკის ნარევს წარმოადგენს, რომელშიაც შიგა და შიგ მოცემული იყო „ჩარლსტონი“ და „ფოქსტროტი“ (დარლინგი). ბალეტი და ცეკვა უსათუოდ კარგად იყო შესრულებული, განსაკუთრებით ხალხური ცეკვა (ფერხული) და სიმღერები.

საერთოდ ოპერამ დიდი ინტერესი და აღტაცება გამოიწვია მაყურებლებში.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: ოპერის შინაარსი თანადროულობიდან უნდა იყოს შერჩეული, ყოფა-ცხოვრების გარდაქმნა-გადახალისებასთან დაკავშირებით—ბავშთა მონაწილეობა ყოფა-ცხოვრების სოციალისტურად გადაქმნა-გადახალისებაში და სხვა.

მუსიკაში ამთავითვე უნდა აღმოიფხვრას ისეთი არიები, რომელიც ბავშის ბუნებას არ ეგუება, როგორც სასოწარკვეთა და უიმედობა; ჩარლსტონ-ფოქსტროტებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი—ამათ ვერაფერი ვერ გაამართლებს და ვერც უშველის მოზარდ მოყურებელთა თეატრში. ბალეტშიც თავიდანვე უნდა აღმოიფხვრას ისეთი მიმოხვრები, რომელიც სახელმწიფო აკადემიურ ოპერებშია და შიშველი კუნთების ილუზიებს იძლევა, ეს უნდა მოისპოს ახლავე და განიდევნოს საერთოდ თეატრებიდან.

ამგვარად, მუსიკა და ბალეტი უნდა იქნეს გადატანილი ხალხურ მოტივზე, ყოფა-ცხოვრების გარდაქმნა-გადახალისებასთან დაკავშირებით.

აი, ამ ზემოხსენებული შესწორებით ოპერა ბევრს მოიგებს და გაამართლებს თავის მიზანს. სასურველია, მხოლოდ ასეთი შეწორებით, ეს ოპერა ტფილისის ბავშთა ფართე საზოგადოების წინაშეც იქნეს წარმოდგენილი.

ვასო ჩაჩიბაია.



პიონერული ოპერა „ბრძოლა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელექტროგუთანი

— დიაღ, ჩვენ ამით უკვე გავუსწარით ევროპისა და ამერიკის ქვეყნებს. იქ ჯერ ცდებია და ჩვენ კი გადავჭერით ეს კითხვა!—აღტაცებით წარმოსთქვა ერთმა დამსწრეთაგანმა, როდესაც შეხედა ელექტროგუთანს.

ეს იყო თხუთმეტ მაისს საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ზოოტექნიკური სადგურის ახლოს, სადაც აუარებელი ხალხის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ხელისუფლების წარმომადგენელთა თანდასწრებით გამოსცადეს პროფესორ კ. ამირეჯიბის და ა. დიდებულიძის მიერ გაკეთებული ტრაქტორი, რომელსაც ელექტროძალა ამუშავებს.



პიონერული ოპერა „ბრძოლა“

ეს გამართულობა ნახა ამასწინად ჩამოსულმა ამერიკელმა ინჟენერმა მაკდონალდმა და დეპეშაც გაგზავნა ამერიკაში, ეს კითხვა უკვე გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს.

ეს მოხდა ჩვენში, საბჭოთა მეცნიერების წყალობით, მათი დაუღალავი გამოკვლევებით.

სასოფლო მეურნეობის ძველებურად წარმოება ისტორიას ბარდება; ძველებური ღირღიტა გუთანი, სახნისი, კავი დამარცხდა, რკინის გუთანმა გაიმარჯვა, ხარ-კამეჩებს გაუსწრო ტრაქტორმა. საბჭოთა სწავლულები, ისე როგორც საზღვარგარელები, თავის საცდელ სადგურებში, საგამოკვლეო დაწესებულებებში არ ზოგავენ შრომას, ცდებს აწარმოებენ მანქანების გასაუმჯობესებლად, საბჭოთა ტექნიკის ასაწევად, რომ მართლაც დავეწიოთ და გავუსწროთ დაწინაურებულ ქვეყნებს; დიდი მუშაობა ტარდება ამ მხრით, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა გარდაიქმნას სოციალისტურ ნიადაგზე, ხუთწლედი შესრულდეს ოთხ წელიწადში.

აი ამ მეცნიერების რიგებში დგანან ელექტროგუთნის გამომგონებლები — კ. ამირეჯიბი და ა. დიდებულიძე.

ტრაქტორმა რომ ყველგან გაიმარჯვა, ეს უდავოა — მით ხნავენ, თიბავენ, მკიან, ლეწავენ, გადააქვთ ტვირთი, აბრუნებენ წისქვილს და სხვა, ერთი სიტყვით, ტრაქტორი ყველაფერში გამოდგა. ის კარგია ყველაფერში, გასიამოვნებს, დაუღალავი მუშაა, მაგრამ ხანდახან იცის ჭირვეულება; მამოძრავებელი მანქანა ძალიან რთული გამართულობისაა და საკმაოა ერთი რომელიმე ხრახნი გამოუვარდეს, ან გაუწყდეს მავთული, ან დააკლდეს სხვა რაიმე, რომ აღარ უნდა მუშაობა, გაფიცვას აცხადებს.

თუ გამოუცდელი ვინმე მართავს, როგორც ბევრგანაა ჩვენ სოფლებში, მაშინ ტრაქტორი უვარგისდება, მეურნეობა ზარალობს, სამუშაო ცდება...

ნავთი, ბენზინი, ზეთი, წყალი, —ტრაქტორის საყვარელი სასმელებია და რამდენსაც კარგად უმასპინძლდები, იმდენად ერთგულად გემსახურება და ყირა-ყირა აყენებს შავმიწის ბელტებს. მაშასადამე, დიდძალი ხარჯი სჭირდება მის დახვედრას. და მოკლე ხანში რამდენიმე ასიათასეული ეს ფოლადის ლეგიონები რომ აგუგუნდებიან ჩვენ ველ-მინდვრებზე, ვინ იცის, რამდენი საწვავი მასალა დასჭირდება.

ამიტომაა, რომ სწავლული ხალხი სულ იმის ფიქრში იყო, რომ ისეთი სასმელი გამოენახა მისთვის, რომელიც იაფი დაჯდებოდა, და აი მიაგნეს კიდეც—ესაა ელექტროძალა, რომელიც ასე უხვადაა ჩვენში მთის აუარებელი მდინარით ამუშავებელი ჰიდრო-ელექტროსადგურებით.

ამაზე დიდიხანია ცდები წარმოებდა ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთსა და გერმანიაში, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს. საქმის დაგვირგვინება ჩვენში შესძლეს.

ამის შემდეგ ის საწვავი მასალა, რომელიც ტრაქტორებს დასჭირდებოდა, საზღვარგარეთ გასატან საქონლად გვექნება და მასში აღებული ფულით შევიძენთ ჩვენთვის საჭირო საქონელს, მანქანებს და სხვა; ახლა ჩვენ გავათავისუფლებთ მრავალ მუშა-საქონელს გუთნებში შებმისგან, მათი მოშენების მაგიერ ხელს მივყოფთ სამრეწველო საქონლის მოშენებას, რომელიც ასე საჭიროა ჩვენი ფაბრიკა-ქარხნებისათვის ნედლი მასალის მისაწოდებლად, ბაზრის დასაკმაყოფილებლად ხორცით, ტყავით და რძის ნაწარმოებით. გარდა ამისა, ტრაქტორის ამუშავება ელექტრობით უფრო ადვილია; სწორე ვაკე ადგილების გარდა, ის მთის ალმართებზეც თავისუფლად გაინავარდებს, რაც ასე უჭირს საწვავი მასალით მომუშავე ტრაქტორს, უფრო სწრაფია და იაფი.

ჩვენი ქვეყნისთვის კი, რომელიც მთა-გორიანია, ელექტრობით მომუშავე ტრაქტორები პირდაპირ მისწრებაა.



პიონერული ოპერა „ბრძოლა“

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტყეში მუშაობენ

ტფილისის მახლობლად, ეგრეთწოდებულ ვაკეზე, სადაც ეს ცდა ჩატარდა, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. აქიყო ახლომახლო სოფლების გლეხობაც და მოსწავლე ახალგაზრდობაც. შუა ნახნავზე გაჭიმულია ელექტრო მავთულები, რომელიც შეერთებულია სქელი ზონარით ტრაქტორთან, რომელზედაც ელექტრომამოძრავებელია. მეტრაქტორემ ჩაურთო ელექტროდენი. და ტრაქტორი სწრაფად გამოგორდა თავისი ფიცრული სადგომიდან. ესაა „ფორდზნის" სისტემის ტრაქტორი, წინ ფარში მოთავსებული ელექტრომამოძრავებლით, თავზე ალმართული აქვს სამმეტრიანი ანძა, რომელზედაც ელექტრო ძალით წალმა-უკუღმა ტრიალებს დიდი კოჭა და ზედ იხვევს ელექტრომავთულებთან დაკავშირებულ ზონარს. ეს კოჭა იმის მიხედვით ტრიალებს, თუ როგორ შორდება ან უახლოვდება ტრაქტორი ელექტრომავთულების ხაზს. ამ გამოგონებაში მთავარი სწორედ ეს კოჭაა, რომელიც ადამიანის დაუხმარებლად, თავისით ტრიალებს ისე, როგორც მანძილი მოითხოვს.

ამ ტრაქტორს არ სჭირდება საწვავი მასალა, უბრალო, სადა გამართულობისაა, მის მამოძრავებელს არავითარი შეკეთება არ სჭირდება თითქმის ოცი წლის განმავლობაში, იმ დროს, როცა ჩვეულებრივი ტრაქტორი ყოველ ჰექტარზე სამ მანეთამდე შესაკეთებელ ხარჯს მოითხოვს.

ტრაქტორს მიაბეს ორსახნისიანი გუთანი. ტრაქტორი სწრაფად გასრიალდა და ბელტი ბელტზეააყირავა; კოჭა კი განუწყვეტლივ ტრიალებს წალმა-უკუღმა ყველა სიხარულით შესცქერის ამ სურათს, უფრო კი გამომგონებლები.

ელექტრომამოძრავებელი შეიძლება დაიდგას ყოველნაირი სისტემის ტრაქტორზე, ასე შეიძლება გადაკეთდეს ყველა ისინი, ასე გადაკეთდება ყველა მოშლილი და ძველი ტრაქტორი, მუშახელიც ნაკლებია საჭირო, ნახნავიც უკეთესად მუშავდება, იაფიც ჯდება.

ეს საბჭოთა ტექნიკის გამარჯვებაა.

**დამსწრე**

# პიონერები ბანაკად

პიონერები მინდვრებს მოედვენ...
ჯანსაღი სუნთქვა ჰკოცნის ბაგეებს,
და ნაბიჯები ფარავს მოედნებს,
მზეც ალტაცებით სიცილს გვაგებებს!..
ველზე სირბილით, ველზე თარეშით
ჩვენი კუნთები მზით დაიშხალოს,
გვენთოს ხანძარი მებრძოლ თვალებში, —
წინ გაგვაქანე, ზღვის ქარიშხალო!
იყოს სირბილის ფეხის თქარუნი,
აგვიგრიგალდეს გული პიონერთ,
ჩვენ გადავივლით მღერის ჩქარულით
ამ ტყე-მინდვრების სანაპიროებს!..
მუხლში მაგრდება ყანა სამკალი,
დულს სინოყივრე ნიადაგშივე,
და გაჭრილ არხში ზვირთის ნაკადი
დათქორავს ველებს ზღვად გადაშლილებს!.
ხარობს თვალები პიონერული,
სიჯანსალისთვის ვცხოვრობთ ბანაკად,
გვიყვარს მხარდამხარ შრომა მკერდული,
შრომა მკერდული დაუღალავად!..
გვძულს ზარმაცული ჩვენ დამთქნარება,
საქმეს შორიდან ჩვენ როდი ვუმზერთ!
გააქვს გუგუნი ცეცხლს, მანქანებს და
მზე მხურვალებით იწევს ჩვენ ზურგზე.
ჰეი, გლეხობავ! გვიყვარს მინდვრები,
მინდვრებში შრომა გაშლილ გუნდებად,
როცა ტრაქტორი ღამის ბინდებში
მძლავრი ტრახტრახით აგუგუნდება!..
მთებო, გაგთელავთ ფეხის თქარუნით,
მთებო, ლაღუმებს ვერ გადურჩებით!
ამხანაგებო! სოფელს ჩქარულით
ცოდნა ავუნთოთ, ნუ დაყუჩდებით!..
ჩვენი ცხოვრების აელვარებას
მოაქვს ხალისის დენა ულევი.
მზეო! დაუშვი სითბო ღვარებად,
მზეო! მხურვალე გვინდა გულები!..
ველზე სირბილით, ველზე თარეშით
ჩვენი კუნთები მზით დაიშხალოს,
გვენთოს ხანძარი მებრძოლ თვალებში, —
წინ გაგვაქანე, ზღვის ქარიშხალო!..

**შ. შალვაშვილი**



„ხრომის" დამზადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „კრასინის" გმირობა

დედამიწას ორი პოლუსი აქვს—ჩრდილოეთის და სამხრეთის. პოლუსების ირგვლივ დიდი პოლარული ქვეყნებია. იქ 8 თვეზე მეტი გრძელდება მკაცრი ზამთარი და ამ დროს თითქმის სულ ბნელი ღამეა (მხოლოდ 2-3 საათი დღეღამეში არ ბნელა), ზაფხულობით კი რამდენიმე თვის განმავლობაში სულ დღეა. აქ არის მთლად ერთიან თოვლით დაფარული კუნძულებიც.

პოლუსები მეცნიერებს ძალიან აინტერესებს, ვინაიდან იქ მომხდარი მოვლენები მეტად დიდ გავლენას ახდენს აზიის, ევროპის და ამერიკის ამინდზე, და ამ ადგილების შესწავლა ძალიან საჭიროა. გარდა ამისა, იქ შეიძლება დიდძალი სიმდიდრეც აღმოჩნდეს—ქვანახშირი, რკინის მადანი და სხვა.

ბევრი ადამიანი შეიწირა პოლარული ქვეყნების გამოკვლევის სურვილმა, ბევრი დაიღუპა იქაურ ყინულებში, მაგრამ მაინც ჩნდებოდნენ ახალ-ახალი პირები, რომლებსაც ვერ აშინებდა მუდმივი ყინულის სამფლობელო.

იტალიელმა ნობილემ 1928 წელს გააკეთა ძალიან დიდი დირიჟაბლი „იტალია", რომელსაც შეეძლო 11 ტონა ტვირთის წაღება (671 ფუთი) და 14 კაცთან ერთად გაფრინდა ჩრდილო პოლუსისაკენ მას ჰქონდა აგრეთვე დიდი გემი „ჩიტა დი მილანო", რომელიც კუნძულ შპიცბერგენთან იდგა.

ნობილე მიფრინდა პოლუსზე და 2 საათის შემდეგ გაფრინდა შპიცბერგენისკენ, მაგრამ დირიჟაბლი სქელ ნისლში მოხვდა, მის ზედაპირს ნელ-ნელა ყინულის ფენა დაედო, დამძიმდა და ბოლოს 500 მეტრის სიმაღლიდან სწრაფად დავარდა ყინულზე. ამ დროს დირიჟაბლს მოწყდა ნავი, რომელშიც იყო თვით ნობილე და რამდენიმე კაცი. ამან დირიჟაბლი გაამსუბუქა, ის ისევ ავიდა ჰაერში, იქ ცეცხლი გაუჩნდა და ქარმა წაიღო.

ნობილეს ჯგუფმა ყინულის ნატეხზე კარავი გააკეთა, სადაც 9 კაცი ცხოვრობდა. ეს ყინული მოძრაობდა და ყოველდღე სხდებოდა ხან ერთ, ხან მეორე ადგილას. მათ ჰქონდათ რადიოაპარატი, მაგრამ ვერავის ვერ გააგონეს ვერაფერი.

ერთ დღეს ნობილეს ჯგუფიდან მეცნიერი მალგრემი და მასთან ორი ოფიცერი—ცაპი და მარიანო—წავიდნენ მიწის საძებრად.

1928 წლის 26 მაისს მთელი მსოფლიო შეაშფოთა ახალმა ამბავმა: „ნობილე არაფერს არ იტყობინება. შპიცბერგენიდან 23 მაისს გაფრენილი დირიჟაბლი „იტალია" უკან არ დაბრუნებულა".

როგორც კი მოვიდა ცნობა „იტალიის" შესახებ, საბჭოთა ხელისუფლებამ მაშინვე მიიღო ზომები. ს. ს. რ. კ. ოსოავიაქიმმა ყველა რადიოსადგურს დაუგზავნა დეპეშა: „დირიჟაბლი „იტალია" ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეშია. შეიძლება ის სსრკ ჩრდილოეთის სანაპიროზე ჩამოფრინდეს. აცნობეთ მოსახლეობას, რომ აუცილებლად საჭიროა დირიჟაბლის დახმარების გაწევა. საჭიროა შეეცადოთ და რადიოთი დაუკავშირდეთ დირიჟაბლს. ყოველგვარი ცნობა მის შესახებ გამოგზავნეთ: მოსკოვი, ოსოავიაქიმი".

9 დღე არ იყო არავითარი ცნობა „იტალიისაგან". 3 ივნისს საბჭოთა რადიომოყვარულმა შმიდტმა მიიღო რადიოგრამა დირიჟაბლი „იტალიის" დამტვრევის შესახებ.



„კრასინი" ყინულებში

ამ ცნობის მიღებისთანავე ნობილეს დახმარების კომიტეტმა ორი ექსპედიციის მოწყობა დაიწყო ჩრდილო პოლუსზე გასამგზავრებლად. არც იტალიამ, არც ამერიკამ, არც ინგლისმა არ შეიწუხეს თავი, იტალიამ ერთი აეროპლანი გაგზავნა დასახმარებლად, ნორვეგიამ გაგზავნა გემი და აეროპლანები, ფინლანდიამ და შვეციამ—თითო აეროპლანი.

ცნობილი პოლარული მოგზაური ამუნდსენიც გაფრინდა აეროპლანით ნობილეს დასახმარებლად და უკვალოდ დაიკარგა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ორი მძლავრი ყინულმჭრელი გაგზავნა ნობილეს ექსპედიციის გადასარჩენად—„მალიგინი" და „კრასინი". „კრასინი" მსოფლიოში ყველაზე უფრო მძლავრი ყინულმჭრელია. „მალიგინი" 12 ივნისს გავიდა არხანგელსკიდან, „კრასინი" კი 15 ივნისს წავიდა ლენინგრადის ნავსადგურიდან.

აპხვრევდენ ყინულოვან უდაბნოს და ნელ-ნელა მიდიოდენ წინ საბჭოთა ყინულმჭრელები. სქელ პოლარულ ნისლში ყინულის უდაბნოს თავს დაბზუოდენ საბჭოთა აეროპლანები, რომლებიც ეძებდენ დაღუპულ დირიჟაბლზე მყოფებს.

24 ივნისს შვედმა ავიატორმა ლუნდბორგმა მონახა ნობილეს კარავი, ჩაფრინდა მოძრავ ყინულზე და ნობილე წაიყვანა „ჩიტა დი მილანო"-ზე, შემდეგ ისევ დაბრუნდა, რომ თითო-თითოდ წაეყვანა დანარჩენებიც, მაგრამ ჩაფრენის დროს მისი აეროპლანი გადაბრუნდა, და ისიც პოლუსის ტყვე შეიქნა. ამის შემდეგ მოფრინდა შვედი შიბერგი და წაიყვანა ლუნდბორგი. 5 კაცი დარჩა მცურავ ყინულზე...

მისწყდა აეროპლანის ხმა...

ორი მძლავრი ყინულმჭრელი, 8 ხომალდი, 16 აეროპლანი და 1500 კაცი გაფაციცებით ეძებდა შორეული ჩრდილოეთის ყინულებში პოლარულ ტყვეებს. „მალიგინი" სულ წინ მიიწევდა და ბოლოს საშინელი ყინულები გადაეღობა წინ. ყინულმჭრელი რამდენჯერმე დაეტაკებოდა ყინულს, შემდეგ უკან დაიხევდა და კვლავ გააფთრებული დაეტაკებოდა, სანამ არ გააპობდა. საათის განმავლობაში რამდენიმე მეტრით თუ წაიწევდა წინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პიონერების კარნავალი ბავშთა საერთაშორისო კვირეულის დღეს

ისეთი გაუვალი და სქელი იყო ყინული ირგვლივ. 9 დღეს ებრძოდა „მალიგინი“ ყინულებს და ბოლოს აჯობა კიდეც. ამ ყინულმჭრელიდან გაფრინდა ავიატორი ბაბუშკინი შპიცბერგენისკენ, მაგრამ ნისლის გამო იძულებული გახდა ჩაფრენილიყო ყინულზე. იქ 4 დღედაღამე იყვნენ ის და მისი თანამგზავრები, მოჰკლეს თეთრი დათვი და იმით იკვებებოდენ, შემდეგ მოახერხეს აფრენა, მაგრამ გზა დაებნათ და ღამე ისევ ყინულზე დაფრინდენ.—მიკვირს, როგორ არ დავიღუპეთ აეროპლანიანად, ისე თხელი და დამსკდარი იყო ეს ყინული,—ამბობს ბაბუშკინი. ბოლოს კვლავ აფრინდენ და მივიდენ „მალიგინზე“. 60 მალიგინელი დიდხანს ებრძოდა ყინულებს, ეძებდა ამუნდსენს, მაგრამ ამაოდ. 25 ივლისს „მალიგინი“ არხანგელსკში დაბრუნდა.

20 ივლისს „კრასინი“ უკვე ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში იყო. ყინული თანდათან უფრო სქელდებოდა. აი, „კრასინი“ ჰრიჰინებს, აწვება ყინულებს, მაგრამ ყინული არ უშვებს მას. ავიატორი ჩუხნოვსკი მოემზადა გასაფრენად. ფოლადის ფრინველი მალე დაიკარგა თვალიდან. უცბად რადიომ მოიტანა ცნობა: „ყინულზე დავინახეთ ადამიანები, ალბათ მალგრემის ჯგუფია... უკან ვბრუნდებით“.

ჩუხნოვსკი 15 წამში უნდა დაბრუნებულიყო, ის კი არსად ჩანდა —მან ნისლის გამო ვერ მონახა „კრასინი“. აეროპლანი რადიოთი იტყობინებოდა, რომ ვერ პოულობდენ „კრასინს“. ჩუხნოვსკი სადღაც ყინულზე ჩაჯდა. შემდეგ ცნობა კიდევ ჩუხნოვსკისაგან: „ყველანი კარგად ვართ. სანოვაგე 2 კვირას გვეყოფა. საჭიროდ მიმაჩნია „კრასინი“ სასწრაფოდ გაემგზავროს მალგრემის გადასარჩენად“.

და „კრასინი“ გაეშურა დაღუპული „იტალიის“ მგზავრების გადასარჩენად. თორმეტ-თორმეტ საათს მუშაობდენ შეუწყვეტლივ, ცეცხლფარეშები კი რვა-რვა საათს, ნაცვლად 6 საათისა. ირგვლივ საშინელი ყინვაა. ყინულის გორები მთელ კილომეტრზე გაწოლილა. „კრასინი“ ციებ-ცხელებიანივით ცახცახებს ყინულის ბრჭყალებში. ის რამდენჯერმე დაეტაკება ყინულს, სანამ არ დაამტვრევს და არ გაიკაფავს გზას.

* * *

აფრინდა თუ არა ჩუხნოვსკი, ისევ ნისლში მოხვდა. დიდხანს დაფრინავდენ ხან აქეთ, ხან იქით, მაგრამ ადამიანები არსად მოჩანდენ. უცბად აეროპლანის მექანიკოსმა დაიყვირა, რაც ღონე და ძალა ჰქონდა: „ადამიანები, ადამიანები“, და მალე გამოჩნდა სამი კაცი. ორი ხელს იქნევდა, მესამე კი თოვლში იწვა. ჩუხნოვსკიმ ეს რადიოთი აცნობა „კრასინს“, რომელიც აქეთკენ გამოემართა.

„კრასინი“ მედგრად აპობდა ყინულს და ბოლოს მიაგნო კიდეც, დაინახა კაცი, რომელიც ყინულის მთაზე იდგა: როდესაც მიუახლოვდენ მას, ამ კაცმა იყვირა: „გაჩერდით, გაჩერდით“, ვინაიდან „კრასინმა“ ყინული ბევრგან გაბზარა და შეიძლება დაღუპულიყვნენ.

გაჩერდა ფოლადის გმირი. ჩაუშვეს დიდი ფიცრები, გადავიდენ და სამის ნაცვლად მხოლოდ ორი დახვდათ, მესამე კი, მეცნიერი მალგრემი, არსად იყო. ეს ორნი იყვნენ ოფიცრები ცაპი და მარიანო.

აი რას გვიამბობს ცაპი:

„მე, მარიანო და მალგრემი გამოვეთხოვეთ ბანაკს—იმედი გვქონდა, რომ ყინულებში ვნახავდით „ჩიტა დი მილანოს“. ორი კვირის შემდეგ მალგრემმა ველარ შეძლო სიარული და გვითხრა:

— დამტოვეთ და იფიქრეთ თავის გადარჩენაზე.

ჩვენ ამოვთხარეთ ყინულში საფლავი და შიგ ჩავდევით მალგრემი... მალე დავინახეთ წითელვარსკვლავებიანი აეროპლანი. მე დავრბივარ, ვიქნევ ბაირაღს... აი, შემამჩნია... ვხედავ, თავს დაგვტრიალებს. საჭმელს რატომ არ აგდებს ძირს, ჩვენ ხომ გვშია... ალბათ დაავიწყდათ წამოეღოთ რაიმე საჭმელი. აი, გაფრინდა კიდეც... ვითვლით საათებს.

— მარიანო, გესმის მოტორის ხმა?

— არა.

დიდხანს ვიცდით. ცის ტატნობი სუფთაა. ჩვენ გვინდა დავინახოთ შავი წერტილი. ნუთუ არ იქნება?

— ცაპი! მე საყვირის ხმა მესმის.

— მარიანო, გესმის, როგორ ძიგძიგობს ყინული?

ჩვენსკენ მოდიოდა გემი. მე გარკვევით ვარჩევდი რუსულ წარწერას: „კრასინი“.

მე მივხვდი ყველაფერს: ავიატორებმა დაგვინახეს და „კრასინი“ მოიყვანეს ჩვენთან“.

* * *

ამის შემდეგ „კრასინი“ ვილიერის (ყოფილი ნობილეს) ჯგუფის მოსაძებნად წავიდა და მონახა კიდეც. აუწერელია ყინულის ველზე მყოფთ სიხარული. მალე ხუთივე გადარჩენილი იტალიელი უკვე „კრასინზე“ იყო. მეორე დღეს მთელი მსოფლიო ლაპარაკობდა „კრასინის“ გმირობის შესახებ. „კრასინმა“ გაიმარჯვა, მან 7 ტყვე გამოგლიჯა ჩრდილო პოლუსს და 15 ოქტომბერს დაბრუნდა ლენინგრადის ნავსადგურში. მრავალი ათასი მშრომელი შეხვდა გამბედავ მეზღვაურებს.

საბჭოთა ხელისუფლებამ „კრასინი“ და „მალიგინი“ შრომის და წითელი დროშის ორდენებით დააჯილდოვა. დააჯილდოვეს აგრეთვე ამ ექსპედიციის მონაწილენიც.

ასე დასრულდა საბჭოთა ყინულმჭრელების გმირული ექსპედიცია.

შ. თ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერები ყანაში

აი, ბესო მიწას ხნავს და
გაწურულა ოფლის ღვარში,
ბელტს ბელტებზე მოაგორებს
და თან მისდევს ხარებს კვალში...

—

ჩუ! უეცრად ყანის ახლოს
გადიშალა ბავშთა რიგი,
ხმაურით და სიხარულით
შემოერტყენ ბესოს ირგვლივ!

—

— გამარჯობა, ძია კაცო,
რომ გასულხარ ამ დროს მინდვრად,
სხვა გლეხებთან კოლექტივში
მუშაობა რათ არ გინდა?..

— —

ბესომ ხარებს დაუშინა
და პასუხად უთხრა ბავშებს:
„მე იქ ყოფნა არას მარგებს,
იქ ნაშრომი ვერ დამარჩენს“.

— —

მაგრამ ერთმა პიონერმა
დაარიგა მშვიდად ბესო:
„დამერწმუნე, ძია კაცო,
კოლექტივი შენ გარგებსო.

აქ მარტოკა რომ მუშაობ,
არ გყავს ვინმე — მოგცეს მხარი,
რას მოგიხნავს ან რას დათესს
ხის გუთანი ან მჭლე ხარი?!

— —

წადი, ისე, როგორც სხვები,
ჩაეწერე კოლექტივში,
იქ იშრომებთ ყველა ერთად,
იყავ მათთან ჭირში, ლხინში.

— —

კოლექტივი ხელს შეგიწყობს,
მოგცემს ტრაქტორს, მოგცემს თესლსა,
და ბარაქაც იქ ექნება
კოლექტიურ ნათესებსა“...

— —

ბესომ ყველა მოისმინა
და შეჰპირდა ბავშთა გროვას:
„აწ, ბავშებო, თქვენი რჩევით
კოლექტივში ვიწყებ შრომას.

— —

დღეიდან მე ხელს არ ვახლებ
მამაპაპურ გუთნის ნაფოტს,
იქ გლეხობას კოლექტივში
ჩვენ მოგვცემენ ალბათ ტრაქტორ“.ს..

იმ დღიდანვე ბესომ ხის კავს
მიუჩინა ცეცხლის ალი,
კოლექტივში ჩაეწერა,
მას მიაპყრო შრომის თვალი...

ია ჯიბლაძე



პიონერთა დელეგაცია, საკავშირო პროფ'საბჭოს მდივან დოგადოვთან გაგზავნილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამკვრელი დაზგა

## 1. იყო და არის

ჩვენ ვლაპარაკობთ ავჭალის ლენინის სახელობის შუშეულობის დამამზადებელ ქარხანაზე. ის იყო წინადაც. განთიადზე დაიკივლებდა ქარხანა. საყვირის ხმას იტაცებდა დაბურული ხევები და შემდეგ გადაშლილ ველებზე იკარგებოდა უკვალოდ. სოფელში აქა იქ აჭრიალდებოდა ქოხის კარები — დგებოდენ გლეხები და ზანტად და ზმორებით ნელი-ნელ მოემართებოდენ ქარხნისაკენ; მათ თვალწინ იშლებოდა სანახაობა გაპარტახებული ქარხნისა — ხავსმოდებული დაზგები და საამქრო, ნაწილებად



ბოთლი მზადდება

დაშლილი. წვიმიან დღეს სახურავიდან და კედლებიდან წყალი ჟონავდა და იყო ჰაერი ნესტიანი.

ზანტად მოქმედებდენ მუშები, თითქოსდა მუშაობდენ ძალდატანებით, და ნაყოფიც, მცირე და შეუმჩნეველი, მათ გაჭირვებას ველარ შველიდა.

მიდიოდა დღეები უფეროულად, ნიადაგ შრომაში, და მაინც მუშათა კარზე იდგა შიმშილი. ქარხანა ჩვეულებრივად კიოდა და ხროტინებდა, ამზადებდენ ნივთებს უვარგისს, რის გამოც გამოწვეული ზარალი ქარხანას და მუშებს ერთნაირად აწვებოდათ კისერზე.

ათას ცხრაას ოცდაერთი წლიდან გადასხვაფერდა, გადახალისდა ყოველივე, და ქარხანამაც გამოსავალი გზა იპოვა. შეიქმნა ერთიანი აზრი და შრომა, ამოქმედდა გლეხთა საკმაო ნაწილი, და ქარხანა განიავებას გადაარჩინეს, შეაკეთეს, ჟანგმოდებული დაზგები შესცვალეს ახლით, საამქროები ახმაურდა. კივის ქარხანა განთიადზე, ხმა იჭრება ქოხებში, დგებიან მუშები და ხალისით მოემართებიან ქარხნისაკენ. შეუჩერებლივ მოქმედებენ მათი კუნთები, და ქარხანაში მუშაობის დამთავრებამდე არის ალტაცება და სიხარული.

## 2. საერთო ღუმელი

ქარხნის სამუშაო შუაგულს უზარმაზარი ღუმელი წარმოადგენს, რომელსაც „საერთო ღუმელი“ ეწოდება და მართლაც, ეს უზარმაზარი ღუმელი იტევს აუარებელ მასალას, რასაც ცეცხლი ფაფად აქცევს, რომლისაგანაც ამზადებენ შუშეულობას.

საერთო ღუმელი ხუთ დაზგას შეიცავს.

თითოეულ დაზგას აქვს საკუთარი სარკმელი.

ხშირად სარკმლებიდან ცეცხლის ალი გამოვარდება. ამ დროს მოსალოდნელია უბედური შემთხვევა და ამიტომაც ყოველი მუშა დაზგასთან განსაკუთრებული სიფრთხილით მოქმედობს.

სარკმლიდან მუშები საერთო ღუმელში რკინის ჯოხებს ატარებენ, რომელსაც გარს ეხვევა სითხედ ქცეული მასალა. თვალის დახამხამების უმალვე მას ისევ უკან გამოიღებენ, — მიაქცევენ სათანადო კალაპოტში, მილის საშუალებით ჰაერს ჩაჰბერავენ, და მზად არის ნივთი. სტრიქონებით ძნელია მუშაობის მომენტის ნათლად გადმოცემა, მას თვით მუშასავით ვერავინ განიცდის.

## 3. ცეცხლთან

ცეცხლთან!

დიახ, სულ ახლოს, პირდაპირ ცეცხლთან მოქმედებენ მუშები და როდესაც მათ უმზერ, ასე გგონია, თითქოს მუშების სხეული ფოლადია და არ ეშინია ცეცხლის.

იარაღებიც ხომ გახურებულია და განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რომ არ დასახიჩრდეთ. უთუოდ ეს ადამიანები, რომლებიც ასე ახლო მიდიან ცეცხლთან, გრძნობენ ამ პასუხისმგებლობას და იციან ისიც, რომ ცეცხლი ვერაფერს დააკლებს მათ მოკვეთილ და გეგმიან მუშაობას, და ისინიც ხომ ცეცხლივით მხურვალენი არიან და ან როგორ შეიძლება მათ გულში დაისადგუროს ყინვამ, როცა დღენიადაგ ცეცხლთან მუშაობენ და ამ შრომაში ხედავენ გამარჯვებას და ყოველდღე წინსვლას ახალი მიხწევებისაკენ.

## 4. „შუშის მბერავი“

ამ სახელწოდებით გამოდის ქარხანაში კედლის გაზეთი. მას მუშაობის ორი წლის ისტორია აქვს.

პირველად გაზეთის საქმიანობა ვერ აღწევდა დასახულ მიზანს.

გაზეთს ქარხნის ადმინისტრაციაც არ აქცევდა სათანადო ყურადღებას.

იწერებოდა შენიშვნები, რჩებოდა მხოლოდ ქაღალდზე, ხოლო მათი პრაქტიკულ საქმიანობაში გატარებისათვის არავინ ზრუნავდა.

გაიზარდა მუშათა აქტივის ბირთვი, და გაძლიერდა ხელმძღვანელობა კედლის გაზეთზე.

ამოქმედდენ მუშკორები, და „შუშის მბერავი“ თვითკრიტიკის ბასრი იარაღით ეკვეთა ყოველგვარ დაუდევრობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზოთლებს აყალიბებენ

აი, თუ გინდ ერთ-ერთი ნომერში სწერენ, რომ ქარხანაში გახშირდა უმიზეზოდ სამუშაო დროის გაცდენა, დროგამოშვებით მზადდება ცუდი ხარისხის საქონელი, არ არის მოწესრიგებული საწარმოო თათბირების და კრებების მოწვევის დრო და კიდევ მრავალი სხვა.

და ქარხნის კომიტეტიც გაზეთის შენიშვნებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და აღნიშნული ნაკლიც საჩქაროდ სწორდება.

## 5. დამკვრელობა

,,ჩვენ გათვალისწინებული გეგმა შევასრულეთ, მაგრამ ეგ საკმარისი არ არის —ერთხმად განაცხადეს მუშებმა.—საკმარისი არ არის, რადგან მთელი რიგი ქარხნები დაკვრითი ტემპით მუშაობაზე გადავიდენ და გეგმას კიდევაც გადააჭარბეს. და განა ჩვენი ქარხანა გამონაკლისს შეადგენს, რომ მუშაობის საერთო ტემპს ჩამორჩეს?"..

და მართლაც, მუშები განსაკუთრებული ხალისით მოდიან ქარხანაში და სჯერათ, რომ მათი ასეთი თავგამოდებული და შეუნელებელი მუშაობა შეჰქმნის სათანადო პირობებს. რომ ქარხანა გამოცხადებულ იქნეს დამკვრელ ქარხანად.

საამქრო დილიდანვე გაძლიერებულის ტემპით მოძრაობს. მუშები სჭიმავენ კუნთებს, ისმის გუგუნი საერთო ღუმელისა, ცეცხლის ფაფა იხედება დაზგების სარკმლებიდან. თავგამოდებით მუშაობენ ქალებიც, და იკვეცება ძნელი სამუშაო, დროზე უფრო ადრე მზადდება შუშები და დგება მათი უზარმაზარი მწკრივი.

ახმაურდა ,,შუშის მბერავი" მოათავსა წერილები დამკვრელობის მუშაობაზე და მსხვილი ასოებით განაცხადა, რომ „სამაგალითო დაზგები და მუშები დაფაზე იქნებიან გაკრულნი". ამ გარემოებამ დაზგებსა და მუშებს შორის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. მუშები ახლა საუბრისათვის არ ჰკარგავენ დროს,— გრძნობენ გამარჯვების მოლოდინს და სჯერათ, რომ ფუჭად არ ჩაივლის ყოველივე ეს.

## 6. დამკვრელი დაზგა № 2.

და არის სოციალისტური შეჯიბრება. ქარხკომი, კომუჯრედი და ლენინური კომკავშირის უჯრედი შეჯიბრებას გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს. მუშების საერთო კრებამ გამოჰყო მუშაობის შემმოწმებელი სპეციალური კომისია.

სულ ხუთი დღე დარჩა ჯილდოს დარიგებამდე.

ახლა დაზგები ხომ შეუჩერებლივ მუშაობენ, საერთო ღუმელი ადნობს მასალების მთელ გროვას, ისმის მხოლოდლა სარკმელიდან აქა-იქ ამოვარდნილი ცეცხლის ალის შრიალი.

სამუშაო არცერთი წუთი უბრალოდ არ იკარგება.

და გავიდა ხუთი დღეც. გულისფანცქალით ელიან შედეგების გამოცხადებას... აგერ წარწერაც საგანგებოდ მორთულ წითელ დაფაზე: „გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და კარგი დამკვრელობისათვის წითელ დაფაზე დაზგა № 2".

ამგვარმა შედეგმა მუშებში შრომისადმი მეტი ინტერესი დაჰბადა, და ისინიც მუშაობენ განუწყვეტლივ და მალე მთლიანად მთელ ქარხანას დამკვრელობისათვის გააკრავენ წითელ დაფაზე.

## 7. საერთო საცხოვრებელი

ამ მხრით მუშები სივიწროვეს განიცდიან. მათ გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს მხოლოდ ოთხი საერთო საცხოვრებელი, რომელიც ძველ სტილზეა აშენებული. არ არის საკმაოდ მზის სხივები და სინათლე. ოთახებიც ერთობ პატარაა, რაც მუშების ჯანმრთელობას ემუქრება. ქარხნის კომიტეტმა და სათანადო ორგანოებმა ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ წარმოების გაუმჯობესებასთან ერთად მუშებმა შესძლონ თავისი პირადი ცხოვრების უკეთ მოწყობა.

„საცხოვრებელი ბინა არ ვარგა! ძალზე შევიწროებულად ვგრძნობთ თავს. ალბათ მალე გამოსწორდება ეს ნაკლიც — ერთხმად ამბობდენ მუშები, და ჩვენც იმედი გვაქვს (მით უმეტეს, რომ ამას მოითხოვს წარმოების ინტერესები), რომ მუშების ჩივილს სათანადოდ შეიგნებენ და მათ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებენ.

სურათი ერთობ კარგია: რამდენიმე წლის წინად დანგრეულ და გაპარტახებულ ქარხანაში თავი მოუყრიათ ჩვენი ქვეყნის მშენებელთა ენტუზიასტებს, და ქარხანაც კივის და ხროტინებს გამუდმებით.

შალი



ზარებს აგროვებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „ჩვენი ცოცხალი საქმე"

# როგორ მუშაობს ქუთაისის ოლქის პიონერთა ორგანიზაცია.

ბ. კ. ო. ქუთ. საოლქო ბიურომ დაამუშავა ცენტრალური ბიუროს დირექტივა ბიუროს გაფართოებულ თათბირზე, სადაც გამომუშავდა მთელი რიგი პრაქტიკული ღონიძიებანი საგ. თესვის კამპანიაში პიონერორგანიზაციის მიერ მასიური მონაწილეობის მიღების შესახებ.

პიონერთა რაიონული ბიუროების ცოცხალი ხელმძღვანელობის განმტკიცებისათვის ქალაქის პ/კოლ. ხელმძღვანელები მიემაგრენ სოფლის პ/კოლექტივებს თესვის კამპანიის პროცესში პრაქტიკული დახმარების მიზნით.

ქუთაისის პიონერთა საოლქო ბიუროს ხელმძღვანელობით ქუთაისის ოლქში შემავალმა რაიონებმა პ/ორგანიზაციების სახით შესძლეს შემდეგის პრაქტიკულად განხორციელება:

საგ. თესვის კამპანიის საკითხი დამუშავდა რაიბიუროების გაფართოებულ თათბირზე და ყველა პიონერკოლექტივში; რაიბიუროებმა სოფლის პიონერკოლექტივებს მიამაგრეს სათანადო მომზადებული ხელმძღვანელები თესვის კამპანიის ჩასატარებლად. ქალაქის პიონერკოლექტივებიდან გაიგზავნა სოფლად 15 პ/ბრიგადა. მათ გლეხობაში გაავრცელეს ლიტერატურა, მოაწყვეს საღამოწარმოდგენები: მაღლაკში, პატრიკეთში, ფარცხანაყანევში და სხვაგან, სადაც ესწრებოდა გლეხობის საკმაო ნაწილი.

ქუთაისის რაიონში ჩატარდა სარაიონო პიონერთა კონფერენცია თესვის კამპანიის საკითხის დამუშავებით, რის შესახებ გაიმართა კამათი, და პიონერები აყენებდენ ახალ წინადადებებს.

კონფერენციის მიმდინარეობის დროს პიონერკოლექტივებმა გამოიწვიეს სოცშეჯიბრებაში დანარჩენი კოლექტივები. მეორე ათწლედის პიონერკოლექტივებმა გამოიწვიეს კოოპერაცია და რკინის გზა 20 მანეთში; ამგვარად დაგროვდა საკმაო თანხა, რითაც შეძენილ იქნა სამი გუთანი და გადაეცა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს. ჩამოყალიბდა ერთი პიონერარტელი (30 პიონერი), რომელიც ამუშავებს 2 ჰექტარ ნაკვეთს.

ხონის რაიონში ცხენკურის პ/კოლექტივმა შეუკავშირებელ ბავშთა მონაწილეობით დაამუშავა ½ ჰექტარი მიწა და დათესა პური.

მათხოჯის კოლექტივმა დახმარება გაუწია ორი ქვრივის ოჯახს ეზოს გაწმენდაში.

ხონის პ/ორგან. კომკავშირთან ერთად მოაწყო შაბათობა ახალი სასოფლო-სამეურნეო არტელის საყანე მინდვრების გასაწმენდად.

პ/ორგანიზაციამ წამოაყენა ახალი პრაქტიკული ლოზუნგი: ერთმა პიონერმა შეაგროვოს 2 კილოგრამი სიმინდი.

ამ ღონისძიების გატარებით ამჟამად დაგროვილია 1714 კილო სათესლე სიმინდი, რომელიც გადაეცა, რაიბიუროს დადგენილების თანახმად, არტელების გამგეობებს. პიონერებმა გუთნების შესაძენად დააგროვეს 60 მანეთი. კოლმეურნეობებისათვის პრაქტიკული დახმარების მიზნით პიონერთა რაზმების მიერ მოწყობილია შაბათობა 27-ჯერ (არხის გაწმენდა, ახალი არხის გაჭრა, წითელარმიელების ოჯახებისათვის დახმარება, 10 ჰექტარი ბუჩქნარიანი ადგილის გაწმენდა).

პიონერთა რაზმებმა საკუთარი ძალებით დაამუშავეს 7 ქცევა მიწა და გააშენეს 445 სხვადასხვა კულტული მცენარე.

პიონერები კოლექტიურად აგროვებენ თესლს; დაგროვილი სიმინდის თესლი გადასცეს კოლმეურნეობებს. პ./კ. მოაწყვეს ფასიანი და უფასო საღამო-წარმოდგენები. საღამო-წარმოდგენებიდან შეგროვდა 200 მანეთი. აღნიშნული თანხით განზრახულია გუთნების შეძენა კოლმეურნეობებისთვის. ამჟამად გადაგზავნილია სოფლად პიონერთა 18 ბრიგადა.

ჩხარის პ/ორგ. დამახასიათებელი თვისებაა მასიური დილების მოწყობა გლეხობის შესაკრებ პუნქტზე ალისუბანში, ალავერდში, სიმონეთში, ჩხარში და სხვა. პიონერების მიერ ჩამოყალიბებულია მებრძოლი ჯგუფები სოფლის მეურნეობის მავნებლების საწინააღმდეგოდ.

ხარაგოულის პ/ორგანიზაციამ შეიძინა ერთი გუთანი და გადასცა სასოფლო-სამეურნეო კოლმეურნეობას. პ/კ. მოაწყო აგრეთვე აგიტკოლონა.

ჭრებალოს რაიონის პიონერთა ორგანიზაციამ გაწმინდა 3 ჰექტარი მიწა, პიონერთა საშვალებით შეგროვილ იქნა 5 ტონა სათესლე სიმინდი, რომელიც რაიონის მიერ იყო განაწილებული გლეხებზე.

საბოლოოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პიონერთა ორგანიზაციის რიგებში არის გარდატეხის პერიოდი კოლმეურნეობათა მშენებლობის ფრონტზე, მაგრამ მიღწევებთან ერთად არის ზოგიერთი დეფექტი. საბჭოთა პროფორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ აფასებენ პიონერთა მოძრაობის და მონაწილეობის საკითხებს მთლიანი სოციალისტური მშენებლობის აქტიური ამოცანების გადაჭრაში, საკმაო ყურადღება არ ექცევა ბრიგადების გაგზავნას და მატერიალურ დახმარებასაც არ უწევენ. კერძოდ ზოგიერთ რაიონში კონფერენციებიც არ ტარდება (გამონაკლისები). ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების წინააღმდეგ უკვე წარმოებს ბრძოლა.

**რადიო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზესტაფონის რაიბიურო ნაყოფიერად მუშაობს

პიონერთა საწარმოო ლაშქრობა ზესტაფონის ბ. კ. ო. რაიბიურომ დაიწყო ბ. კ. ო. ქუთოლქბიუროს დირექტივების მიღების დღიდან.

ზესტაფონის რკინის გზის კოლექტივში ჩამოყალიბდა დამკვრელი ბრიგადები და საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც თავდასხმას აწარმოებენ ზესტაფონის საყუდის საამქროებზე და სხვა დაწესებულებებზე—ახალი დამკვრელების შესაძენად. ზესტაფონის მშენებელთა კავშირთან არსებულმა კოლექტივმა გამოჰყო დამკვრელი ბრიგადები და საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც თავდასხმას აწარმოებენ ელექტროფიკაციის და ფერო-მარგანეცის სამუშაოებზე, ასევე ხდება შორაპნის რკინის გზის კოლექტივში. ძირულის პ/კოლექტივმა ჩაატარა მთელი რიგი მუშაობა, გაწმინდა ქარხნის ეზო, შეაგროვა უტილნედლეული ქარხნის ეზოში (პიონერთა საწარმოო ლაშქრობასთან დაკავშირებით). მთელ რიგ კოლექტივებში მოეწყო „ხუთწლედის კუთხეები“. აგრეთვე მოკლე დროის შემდეგ ზესტაფონში მოეწყობა პიონერთა მასიური დემონსტრაცია საწარმოო ლაშქრობასთან დაკავშირებით —ზარმაცების, ლოთების და მთელ რიგ მავნებელთა წინააღმდეგ, სათანადო პლაკატებით და ლოზუნგებით.

საგაზაფხულო თესვაში პიონერთა მონაწილეობა დამაკმაყოფილებელია. ნ/პ. კოლექტივებმა ჩამოაყალიბეს პიონერბრიგადები, რომლებიც გაემგზავრენ სოფლად და ჩაატარეს საუბრები მშრომელთა საერთო კრებებზე, აგრეთვე ნ/პ. კოლექტივებმა გაუწიეს პრაქტიკული დახმარება სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს, რაც გამოიხატება ვენახების ღერწის გადაბოჭვაში, ქვებისა და ბუჩქებისაგან ყანების გაწმენდაში და სხვა. ასეთი მუშაობა პირველად წამოიწყო სვირის მე-4 უბნის კოლექტივმა, შემდეგ ზესტაფონის 4-წლედის, 7-წლედის და სხვებმა.

როგორ მიმდინარეობს ბავშთა აქტივის გადარჩევა?

ამ მხრივ ზესტაფონში მოსამზადებელი მუშაობა 9 აპრილიდან დაიწყო.

11 აპრილს მოწვეულ იქნა რაიბიუროს გაფართოებული სხდომა ქალაქის პ/აქტივთან ერთად, სადაც დამუშავდა პ/აქტივის გადარჩევის საკითხი, რის შემდეგ მოხდა ქალაქის პ/კოლექტივებში სანიმუშო გადარჩევები.

12 აპრილს მოწვეულ იქნა ზესტაფონის კომკავშირის აქტივის გაფართოებული თათბირი, სადაც დამუშავდა პ/აქტივის გადარჩევის საკითხი, რის შემდეგ ამხანაგები მიმაგრებულ იქნენ სოფლად.

14 აპრილისათვის ჩვენ უკვე ხელთ გვქონდა კონკრეტული ფაქტები პ/კოლექტივების ნაკლოვანებათა შესახებ.

15 აპრილს მოწვეული იქნა ზესტაფონის ნორჩპიონერთა პირველი სარაიონო კონფერენცია, სადაც დამუშავდა: 1. ნორჩ პიონერთა მიმდინარე ამოცანები და 2. აქტივის გადარჩევის შედეგები ზესტაფონის რაიონში, რამაც გამოააშკარავა მთელი რიგი ნაკლოვანება და მიღწევები პ/ორგანიზაციაში.

**კოლექტივის ხელმძღვანელის მუშაობა არადამაკმაყოფილებელია.**

სოფ. იყალთოს (კახეთის ოლქი) პიონერთა კოლექტივის ხელმძღვანელს სძინავს და არავითარ ყურადღებას არ აქცევს პიონერთა მუშაობას, იმ დროს, როდესაც პარტია და კომკავშირი დიდ ყურადღებას აქცევს ბავშთა მესამე თაობის აღზრდას.

საჭიროა პიონერკოლექტივის საქმიანობა გამოარკვიოს რაიბიურომ და სათანადო პასუხი მოსთხოვოს პ/კოლექტივის ასეთ გულგრილ ხელმძღვანელს.

ველით პასუხს.

# ჯულას საყვირი

მთებს შემოესმა გორიდან
პიონერული სიმღერა,
მეზობელ რაზმის რგოლიდან
მოსულან ჯულა, მიხელა.

და კოლექტივი აულის
დილით დაიჳლის იალაღს,
გულს სიხალისე დაუვლის,
მზე რომ ამოვა კრიალა.

ასე პატარა მთიულებს
მუხლშიც ძალა აქვთ არაგვის...
საღამოთი კი მიუვლენ
სიმღერით სოფელ არაგვეთს!..

უხარის მოხუც მინდიას
შვილიშვილ ჯულას ვაჟობა,
უხარის, ღამეს ბინდიანს
განთიადმა რომ აჯობა!..

უხარის საღამოისას
მთიულ ბალღების ყიჟინა...
ჰგონია: მტერი მოისრა,
როგორც კალოზე ბიჟინა.

ჰგონია: თითქო შახ-აბაზს
ებრძვიან მათი შვილები,
და ყველა სიკვდილს შეხედავს,
ყიჟინით გულგაშლილები! .

ფეხზე წამოდგა მინდია
ღელავს გულგანაბრაზები,
— ეს რა? დროშებით მიდიან
პიონერების რაზმები?

დიახ, მოხუცო, გორიდან
მოვლენ ბალღები მეძროხის..
ეს კი—ერთ-ერთი რგოლიდან
ჯულას საყვირი იძახის!..

ალექსანდრე გომიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იქ, სადაც ტყავს ამუშავებენ *)

რკინის დაგრეხილი კიბით ზედა სართულში ავიდენ. აქ ვიწრო დერეფანში ერთმანეთის გვერდზე იყო ჩამწკრივებული პატარა ოთახები. კომკავშირელმა მსხვილ ურდულს გადასწია და ოთახის კარი გამოაღო. იქიდან ცხელი ჰაერი გამოვარდა. მაღლა გაწყობილ ხარიხებზე უამრავი მოწითალო ტყავი იყო გადაკიდული.

— ამდენს სისველეში გამოვლილს ტყავებს აქ ხელოვნური სითბოთი ვაშრობთ.

ბავშებმა ოთახი დაათვალიერეს. იგი მოგრძოა და პატარა, ყოველმხრივ დახურულ ყუთს ჰგავს.

— შემდეგ, შემდეგ!—წამოიძახეს მოუთმენლად.

კომკავშირელმა კარი დახურა და ხელის გაქნევით ანიშნა მათ ძირს ჩასვლა. კვლავ მოზრდილს ოთახში, უამრავს გამოსულს ტყავსა და მანქანების დაუდეგარს ხმაურში ამოჰყვეს თავი. ერთი მანქანა ჩაითრევს ტყავს, ნაპირებს მიუწ-მოუწევს, დაჭიმავს, დაზეკავს და გამოაგდებს ენდროსფერ ტყავს. მეორე მანქანაში-კი მთავარს ნაწილს წარმოადგენს დიდი თუჯის გორგოლაჭი. იგი რკინის მაგიდაზე გადის და გამოდის. მუშები მუშაობენ. ბავშები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს. ვახტანგი ხსნის:

— ზევით 24 საათის შრობის შემდეგ ტყავი აქ ჩამოდის, ჯერ ისევ ნახევრად სველი. აგერ ის მანქანა (აჩვენა პირველი) ასწორებს მის ნაპირებს, დაჭმუჭნილს და ნაკეც ადგილებს. შემდეგ ისევ მაღლა ადის, შრება. გაშრობის შემდეგ ტყავი უკანასკნელად გაივლის ამ იმ თუჯის გორგოლაჭის ქვეშ (მას 2000 ფუთის ძალა აქვს!), უკანასკნელად მოუსწორდება პირი, ზევითა მხარე მოწითალოდ გაუკრიალდება, და ლანჩა უკვე მზად არის ბაზარზე გასატანად.

— კარგი, მაგრამ საპირეებს სადღა ამზადებენ? იკითხა ერთმა.

— იქით მივდივართ!—მიუგო ვახტანგმა.

**სახრომეში**

ვიწრო დერეფნის გამოსასვლელს აუარეს. პატარა კარით ოთახში შევიდნენ. აქაც იგივე კასრები: შავი და პირქუში. შუაში მოზრდილი მაგიდა. ალაგ-ალაგ—პატარა და უცნაური მაგიდები. იატაკზე და კედლებზე საღებავების ნაირ-ნაირი ლაქები. აქა-იქ ხარიხებზე—მომწვანო-მონაცრისფრო ტყავის გროვები. სამი კასრი დგას, ერთი კი ტრიალებს გამალებით.

წინ სახრომე განყოფილების გამგე მოეგებათ: ლურჯ წინსაფარ ქვეშ უჩანდა ევროპული ტანსაცმელი. ვახტანგმა გააცნო მოწაფეები მას.

— კეთილი, მობრძანდით. აგიხსნით!—სთქვა და დაიწყო მან:—თქვენ უკვე გასცნობიხართ „სანაცრე“ განყოფილებაში შრომის პროცესს. განვაგრძოთ პირდაპირ. მოტუტულ-მოსუფთავებულ ტყავს ჩვენ ვთრიმლავთ მუხის ქერქის გამონაჟონით, ან სახრომე შაბით. ეს წესი ისევე სრულდება, როგორც საძირესი-კასრებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დათრიმლვას მცირე დრო უნდება, სულ 12-14 საათი, რადგან ჩვენი მასალა უფრო თხელია (თხა, ცხვარი, ხბო და ხან ძროხაც). დათრიმლვის შემდეგ ტყავს ვღებავთ (წითლად, შავად, ყვითლად, მწვანედ), შეღებვა ხდება კასრებში, ფერის თანდათანი მომატებით. თუ ფერი ერთბაშად მივეცით, ლაქები დააჩნდება და ულამაზო გამოვა. კასრები ტრიალებს, საღებავწასმული ტყავები ერთმანეთს ეხლება და ფერი თანასწორად უჯდება მათ. ამოვიღებთ, კიდევ წავუსვამთ. კვლავ ვატრიალებთ და ასე, ვიდრე საკმარისად არ ვცნობთ. შეღებვის შემდეგ იწყება ტყავის დაზეთვა—მუდმივი სირბილის და წყლის გამტარობის მოსასპობად (ზოგჯერ ორივე ეს პროცესი ერთსა და იმავე დროს ხდება).

— რაში ზეთავთ?

— იმავ კასრებში. თითოეულს ცალკ-ცალკე წავუსვამთ ზეთს, ერთმანეთზე დავაწყობთ და ჩავყრით კასრებში. ვატრიალებთ, ვიდრე არ გაუჯდებათ ზეთი, შემდეგ ვაშრობთ იმავე წესით, როგორც უკვე გინახავთ.

— საბოლოოდ!?

— საბოლოოდ იქ ვნახავთ!—სთქვა ვახტანგმა და წინ გაუძღვა მათ, გამგეც მიჰყვათ. ისინი სამსაფეხურიანი კიბით ფართე ოთახში გავიდნენ. თითოეულ წითელს და შავს ტყავს შლიდენ მაგიდაზე, დანით უსწორმასწორო ნაპირებს სჭრიდენ, ასწორებდენ, ჰკეცავდენ და იქვე აწყობდენ.

— აგერ იქით,—სთქვა ვახტანგმა და დაადასტურა გამგემ—გასასწორებელი და „დასაუთოებელი“ მანქანებია. ვნახოთ. ხომ მიხვდით, აქ რასაც აკეთებენ?

— დიახ,—მიუგეს ერთხმად.



დამკვრელები

მანქანებთან მივიდენ. ერთ მანქანას რიტმიული ჩხაკი-ჩხუკი გაჰქონდა, მეორე-კი ყრუდ გმინავდა. პირველი მანქანის ერთი ნაწილი თავს გამოჰყოფდა დაღებულ ყბასავით, მუშის მიერ მიწვდილს ტყავს სტაცებდა პირს, მისწევდა შიგნით, შემდეგ გაუშვებდა პირს, ახლა სხვაგან სტაცებდა და ამნაირად ასწორებდა დაჭმუჭნილსა და ნაკეცებს.

— ეს საბოლოოდ ასწორებს ტყავს. ამის შემდეგ ტყავი გადადის „უთოზე“. სთქვა გამგემ და მეორე მანქანასთან მიიყვანა ისინი. აქვე მაგიდა იდგა. მუშა ქალი იღებდა ძველი ვედროდან რაღაც სითხეს და სათითაოდ ყველა ტყავს უსვამდა ფალასით. შემდეგ აწვდიდა „უთოსთან“ მდგომ მუშას, ისიც იღებდა, მანქანის ბრტყელს მაგიდაზე სდებდა და მანქანის იმ ნაწილს უმარჯვებდა, რომელიც ირიბად ზევით და ქვევით მოძრაობდა; მისი გავლილი კვალი ისე ემჩნეოდა, როგორც ნამდვილი უთო სარეცხს. ტყავი თანდათან ბჭყვრიალა სასიამოვნო ფერს იღებდა. როდესაც „უთო“ ტყავის ყველა ნაწილს მოხვდა, გამოიღო და დაჰკეცა. კარგი პირი შიგნით მოაქცია.

— საპირე ტყავი აქედან უკვე მზად არის საბაზროდ!—განაცხადა გამგემ.—ჩვენ, გამოგვყავს: „ხრომი“ „შევრო“, „მეში“ და სხვა. შეგიძლიათ თქვენი ამოცანა ამოწურულად ჩასთვალოთ!—დაატანა ღიმილით.

**ს. მთვარაძე**

*) დასაწყისი იხ. № 9-ში.

# თამბაქოს მავნებლობა

თამბაქოს მეურნეობას დღეს კულტურული მეურნეობა ეწოდება, მაგრამ იგი პროლეტარული კულტურა კი არ არის, არამედ ბურჟუაზიული კულტურის ერთ-ერთი ნაშთია, რომელსაც ახალ პროლეტარულ ყოფა-ცხოვრებასთან და სოციალისტურ წყობილებასთან არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეს, ამიტომ ჩვენი კლასიური შეგნება მოითხოვს თამბაქოს მოხმარებას სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ.

დღეს მსოფლიოში ცხოვრების ასპარეზზე ორი მოპირდაპირე ძალაა გამოსული: შრომა და კაპიტალი. ეს ორივე მხარე ერთიმეორის შეურიგებელი მტერია; რაც ერთისათვის სასარგებლოა, იგი მეორისათვის მეტს ბარგს წარმოადგენს, და ამიტომ თითოეული მათგანი ცდილობს ცხოვრება ისე მოაწყოს, როგორც მის კლასიურ ბუნებას და მოთხოვნილებას შეეფერება. ბურჟუაზიის ინტერესები მოითხოვს ისეთი მეურნეობის და მრეწველობის განვითარებას, რომელიც მას დიდ მოგებას მისცემს. იგი მზად არის ღვარძლის მეურნეობა მოაწყოს, ოღონდ კი სარგებლობა ნახოს. ბურჟუაზია სრულიადაც არა ფიქრობს, ესა თუ ის პროდუქცია, რომელიც მისი ხელმძღვანელობით მზადდება, რამდენად სასარგებლოა და აუცილებელი. მაშასადამე, ჩვენი და ბურჟუაზიის ინტერესები ისეა დაშორებული ერთიმეორეს, როგორც ცა და დედამიწა.

სულ სხვა უნდა იყოს მომავლისათვის ჩვენი მეურნეობის ინტერესები და პრინციპები. პროლეტარიატის პრინციპები ბუნებრივად მოითხოვს ისეთი მეურნეობის და მრეწველობის მოწყობას, ისეთი მოსახმარი ნივთების დამზადებას, რომელიც მას გამოადგება ცხოვრებაში და რომელსაც იგი აუცილებლად საჭიროებს, ე. ი. პროლეტარიატს არ სურს ისეთი მრეწველობის მოწყობა, სადაც დამზადდება მაგარი სასმელები, თამბაქო, ზარბაზნები, თოფები და სხვა საომარი იარაღები[1]). ერთის სიტყვით, მისი პრინციპია რაც შეიძლება დაცულ იქნას მუშის შრომა და ენერგია და, რაც უფრო ძვირფასია —მისი ჯანმრთელობა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბურჟუაზიას და მის მეურნეობას მრავალი ასეული წლის ისტორია აქვთ და ამ ხნის განმავლობაში ისე მაგრად ჩაუყარეს საძირკველი თავის კულტურას, რომ პროლეტარიატს ჯერ კიდევ დიდი დრო და ენერგია დასჭირდება, რომ მოაწყოს კლასიური კულტურა და შეითვისოს პროლეტარული ყოფა-ცხოვრება, აზროვნება და ფსიქოლოგია. ვიმეორებთ, ამ ფრონტზე ბრძოლა არ არის ადვილი და არც პატარა დროს მოითხოვს, არამედ აქ უფრო საჭიროა დიდი ხნის ევოლუციონური ბრძოლა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გულხელი დავიკრიფოთ და არა ვაკეთოთ რა. ჩვენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად ვიბრძვით კულტურულ ფრონტზე და ბურჟუაზიული ნაგავი და ზნე-ჩვეულება ურემი ურემზე გაგვაქვს გადასაყრელად, მაგრამ ჩვენ წინ ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ნაგავი, რომლის მყრალ სუნს ისე შევჩვევივართ, თითქოს მუშკ-ამბრის სუნი იყოს და ჯერაც არა ვფიქრობთ მისი ხმარების საწინააღმდეგოდ ხმა ამოვიღოთ. ეს გახლავთ თამბაქოს წევა.

სამწუხარო ის არის, რომ ეს მავნებელი მცენარე, რომელსაც თამბაქო ეწოდება, ჩვენ თვითონ მოგვყავს, ჩვენ ვაშენებთ აუცილებელ ქარხნებს და გაუმჯობესებულის ტექნიკით ვამუშავებთ, რომ უფრო ინტენსიური იყოს შრომა, ვამზადებთ პაპიროსებად, აუარებელ შრომას და ენერგიას ვფლანგავთ მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ დავწვათ, მისი ბოლი ჩვენს ორგანიზმში გავატაროთ, დავაავადმყოფოთ, მოვიწამლოთ და მის ბოლოში ჩვენვე ამოვიხრჩოთ. თამბაქოს უაზრო ხმარებამ ისეთი ეპიდემიური ხასიათი მიიღო, რომ მოსახლეობის თითქმის 80% სწევს—ქალი, კაცი, ახალგაზრდა, მოხუცი, შეგნებული, შეუგნებელი, მუშა, ინტელიგენტი და სხვა. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ჩვენი მოზარდი თაობის ჩაფლობა ამ მავნებელ და ყოვლად დამღუპველ ჩვეულებაში. თუ ხნიერი ადამიანები კიდევ ცდილობენ როგორმე ხელი აიღონ თამბაქოს წევაზე, რადგანაც ერთმა ნაწილმა უკვე გამოსცადა და შეიგნო მისი მავნებლობა, სამაგიეროდ ჩვენი ახალგაზრდები ცდილობენ როგორმე მიეჩვიონ თამბაქოს წევას, რადგანაც ისინი ამაყობენ კიდეც:—აბა, შემომხედეთ, მეც ვისწავლე თამბაქოს ბოლის გატარება ორგანიზმშიო; ამით ისინი სრულწლოვანებას გრძნობენ.

თამბაქოს წევას ისეთი აუარებელი ზარალი მოაქვს კაცობრიობისთვის, რომ არ შეიძლება ეს ყოვლად მიუტევებელი ცუდი ჩვეულება უდიდეს სოციალურ უბედურებად არ ჩაითვალოს. მე ლევ ტოლსტოის მიმდევარი არ გახლავართ, მაგრამ ტოლსტოისავე სიტყვებით უნდა მოგახსენოთ, რომ არცერთი ომი, არცერთი გადამდები სენი და ავადმყოფობა იმდენს ზიანს არ მოუტანდა კაცობრიობას, რამდენიც მოაქვს თამბაქოს წევას და მის მეურნეობას.

არცერთი ნედლი მასალის დამზადებას არ სჭირდება იმდენი მუშაობა, იმდენი წვალება და ენერგიის დახარჯვა, რამდენიც თამბაქოს მოყვანას: თამბაქო ითესება სათბურებში. როდესაც ამოვა, იგი უნდა გადაირგოს თითო-თითოდ, პლანტაციებში, ერთიმეორესთან პატარა მანძილზე დაშორებით; ფოთლების გამოტანის შემდეგ კრეფენ და თოკებზე ჰფენენ გასაშრობად. ისე უნდა გაშრეს, რომ არც ძალზე გახმეს და არც ნედლი დარჩეს.

თამბაქოს აშრობენ ფარდულებში, გაშრობის შემდეგ ჯერ პატარ-პატარად იკვრება და შემდეგ კი ცალებად შეკრული იგზავნება ქარხნებში, მაგრამ მას მაშინვე არ ამუშავებენ, იგი დაახლოვებით ერთ წლამდე ინახება საწყობში, სპეციალური ზედამხედველობის ქვეშ, სადაც დროგამოშვებით გადაარჩევენ და დამპალ ფურცლებს აცლიან, რადგანაც შიგ რომ დარჩეს, მთელი შეკვრა გაფუჭდება და დაიწვის თავის შხამში; ერთი წლის შემდეგ კიდევ არჩევენ, ახარისხებენ და შემდეგ კი ამუშავებენ სხვადასხვა მანქანაზე.

თამბაქოს ნათესებს არცერთი ნადირი არ ეკარება, თვირთ გველსაც კი ვერ ნახავთ იქ ვერასოდეს, მას მხოლოდ ეგუება და ეტანება გონებით დაჯილდოებული ადამიანი.

ჩვენ, ადამიანები, თუმცა ბუნებრივად დაჯილდოვებული ვართ ნიჭით და აზროვნებით, მაგრამ რომ იტყვიან „რაც კაცი უზამს თავის თავს, მტერი არ მოეკიდების“, სწორედ ჩვენზე ითქმის. მართლაც და, რომელი შემოსეული მტერი ან ბარბაროსი მოგვაყენებს იმდენს ზარალს, იმდენს უბედურებას, რამდენსაც ჩვენ ვაყენებთ თამბაქოს წევით ჩვენს თავს. აღსანიშნავია ისიც, თუ რამდენი ზარალი მოაქვს პაპიროსის ნამწვის დაუდევარ გადაგდებას. ხშირად თამბაქოს მწეველი მოკიდებულ პაპიროსს ისეთ ადგილას გადაისვრის და გაუდგება გზას, რომ აზრადაც არ მოუვა, თუ ის ნამწვი იქ ხანძარს გააჩენს. აი რას გვიჩვენებს სტატისტიკა: საბჭოთა კავშირში (რა თქმა უნდა, სხვა სახელმწიფოებშიც ასევე იქნება) ხანძრის 20% პაპიროსის ნამწვისაგან არის გამოწვეული.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

ნიკო იტრიევი (მკერვალი)

---

[1]) დღეს ჩვენს საბჭოთა ხელისუფლებას მოწყობილი აქვს როგორც საომარი იარაღების, ისე თამბაქოს, სპირტის და სხვა ქარხნები, მაგრამ მათი არსებობა დროებითი, იძულებითი და თავდაცვითია, რომელიც პირველსავე ოდნავ შესაძლებლობისთანავე შეიცვლება სხვა სასარგებლო მეურნეობით და მრეწველობით. ასეთი ნაბიჯი უკვე გადადგმულია და საბჭოთა კავშირის სამრეწველო ათწლიან გეგმაში ცაკის მიერ შეტანილია თამბაქოს და სპირტიანი სასმელების წარმოების ყოველწლიურად 5 და 10%-ით შემცირება.

ფასი 25 კაპ.

## „ბავშთა მეგობრის“ სამდღიური.
## (ფ ო თ ი).

ქ. ფოთში ახლახან ჩატარდა უმწეო ბავშთა დასახმარებლად სამდღიური. სამდღიურს ხელმძღვანელობდა გამოყოფილი სარაიონო კომისია ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით.

სამდღიურთან დაკავშირებით დაიბეგრა სასადილოები, სასტუმროები, ყულაბებით შემოწირულება გროვდებოდა.

ფოთის მუშათა თეატრის დასმა დადგა უმწეო ბავშთა სასარგებლოდ წარმოდგენა. ნავსადგურის სტადიონზე მოწყობილ იქნა ფეხბურთელთა შეჯიბრება.

ქალაქის ცხენმავალმა („კონკა“) სამდღიურის სასარგებლოდ დაგვითმო რონოდა ერთი დღით, სადაც სამდღიურის მომწყობმა კომისიამ დანიშნა თავისი ხალხი ბილეთების გასაყიდლად.

აღნიშნული სამდღიურიდან სულ შემოვიდა 8.408 მან. 09 კაპ., რაც იმის დამამტკიცებელია, რომ ფოთის მშრომელი მოსახლეობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა სამდღიურს და გაიღო საკმაო წვლილი უმწეო ბავშთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სამდღიურის ჩატარებაში აგრეთვე აქტიური მონაწილეობა მიიღეს კომკავშირმა, პოლიტსამართველოს ორგანოებმა და დელეგატმა ქალებმა.

ფოთის საბავშო სახლის მზრუნველობის ქვეშ მყოფი 36 ბავში ფოთში მყოფი და გამვლელი ყველა უმწეო ბავშის სახელით მადლობას უცხადებს ყველა დამხმარე საზოგადოებას და ორგანიზაციებს დახმარების გაწევისათვის.

დავალებით **გ. ჟღენტი.**

## წერილი აფხაზეთიდან.

ქალაქ სოხუმის ქართულ პირველ 7-წლედთან არსებული პიონერკოლექტივის ბრიგადა გავემგზავრეთ სოფლად პიონერკოლექტივის ჩამოსაყალიბებლად. ვიმუშავეთ სოხუმის მაზრაში სოფ. დრანდაში, შაფში და ვარჩეში; პიონერთა კოლექტივები ზემოჩამოთვლილ სოფლებში არ იყო. ჯერ ვაკეთებდით მოხსენებებს სკოლაში მოწაფეებთან. გავაცანით ბავშებს პიონერთა მნიშვნელობა და მიზანი, რის შემდეგაც შევადგინეთ პიონერების სია. ვიყავით წასული 16 პიონერი. ორი იყო ხელმძღვანელი და ორიც მასწავლებელი. დავრჩით 6 დღეს მოწაფეთა 98% ჩაეწერა პიონერთა რიგებში. ბავშები ძალიან კმაყოფილი დარჩენ ჩვენი ჩასვლით. დავურიგეთ პიონერებს საჩუქრები, რომელიც გვქონდა სოხუმიდან წაღებული. 6 დღის განმავლობაში, როცა პიონერებთან მუშაობას გავათავებდით, ვმუშაობდით კოლმეურნეობაში და ვსაუბრობდით გლეხებთან. ჩავატარეთ რამდენიმე ექსკურსია „კოდორსტროის“ შუქურის დასათვალიერებლად და სხვა. ვნახეთ აფხაზეთის მრავალი სოფელი, რაც ჩვენთვის ძალიან საინტერესო იყო, ვინაიდან ჩვენს რიგებში იყვნენ ისეთები, რომელთაც აფხაზეთის სოფლები არ ენახათ. საღამოობით ვადგენდით მეორე დღის მუშაობის გეგმას და ვეცნობოდით საჭირო ლიტერატურას. უკანასკნელ დღეს, როცა წამოსვლა დავაპირეთ, დავდგით კოდორში საღამო „კოდორსტროის“ კლუბში მუშებისათვის.

ბრიგადელი **შურა ვასაძე.**

რედაქტორი: **სარედაქციო კოლეგია.**

მთავლიტი № 1030 სახელგამის სტამბა, შუა ბაზარი, № 22. შეკვ. 330. ტირ. 3500